ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

აქცია!
„ახალი თაობა“
+ ფრანკო
5 ლარი




პარასკევი, 28 ოქტომბერი, 2011 | №256 (5636) | ფასი: 30 თეთრი

# ხათუნა კალმახელიძის მოხსნა უკვე გადაწყვეტილია


გვ.2

პატიმრების მინისტრი გიორგი ღვინიაშვილი ხდება




გვ.4

## რურუას სტურუას გადააყოლებენ?



## მალხაზ გულაშვილი შვილთან ერთად პოლიციას თავად ჩაბარდა

გვ.2

## ცაგარეიშვილი საპარლამენტო კომისიის შექმნას ითხოვს


გვ.2



## ვენეციის კომისიამ ნაციონალები ტყუილში გამოიჭირა

გვ.3

## არ შეიძლება, თავდაცვის ბიუჯეტი მეტი იყოს, ვიდრე ჯანდაცვის!

გვ.6



## გუბაზ სანიკიძე: „სააკაშვილის ერთადერთი გამოსავალი არჩევნების დანიშვნაა“

გვ.4



3090
sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

3 ივანიშვილის ქველმოქმედება ხელისუფლებასთან კითხვებს აჩენს

5 საქართველო რუსეთის ვმოში შესვლას ვეღარ დაბლოკავს

7 53 სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები დირექტორს უჩივიან

5 სოსო ცინცაძე: „ივანიშვილი პოლიტიკოსად არ არის დაბადებული“

# ხათუნა კალმახელიძის მოხსნა უკვე გადაწყვეტილია

## პატიმრების მინისტრი გიორგი ღვინიაშვილი ხდება

შალვა ჯოხაძე

მოსალოდნელ საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით კულუარებში გავრცელებული ინფორმაციები ბოლო დროს ისეთი სიზუსტით ცხადდება, როგორ გინდა, არ დაიჯერო, რომ ხათუნა კალმახელიძესაც ხსნიან! კარგა ხანია, ადამიანის უფლებათა დამცველები თანხმდებიან, რომ კალმახელიძე მოსახსნელია, მეტიც – დასასჯელი. ეს ახალგაზრდა ქალბატონი აშკარად შესაფერის თანამდებობაზე ვერ მოხვდა. ალბათ, სხვა ადგილები ისეთი დაკავებული იყო, რომ ხათუნა კალმახელიძისთვის შესაბამისი ვერაფერი გამონახეს. ახალ სამინისტროს ხომ არ გაუხსნიდნენ და ამიტომაც პატიმრებისთვის გაიმეტეს. მეორე მხრივ, რომ დაუკვირდე, სააკაშვილისთვის ის კარგი მინისტრია, ციხეში მიმდინარე შავ-ბნელ საქმეებზე, მინიმუმ, თვალებს ხუჭავს. აშკარაა, რომ კარგად ვერ აცნობიერებს, რა სამინისტროს უდგას სათავეში. მას ქვეშევრდომები არაფერს ეკითხებიან. პატიმრების ცემა-წამებას კალმახელიძეს რომ არავინ შეუთანხმებს, ეს ხომ აშკარაა. ამიტომაცაა, რომ მსგავს ფაქტებზე ის კომენტარსაც კი არასოდეს აკეთებს. ეს ბუტაფორიული მინისტრია, რომელიც მხოლოდ ოფიციალური პრეზენტაციებითა და „ფეისბუქში“ საკუთარი გვერდისათვის ფოტოების გადაღებითაა დაკავებული.

ალსანიშნავია, რომ კალმახელიძე გილაურის კაბინეტში ერთადერთი ქალი მინისტრია და, თუკი მას მართლაც გაუშვებენ, გენდერული ბალანსი მთავრობაში ნულამდე დავა. საქმე ისაა, რომ ამ თანამდებობაზე მამრობითი სქესის მინისტრი მოგვევლინება. მამაკაცი, რომელიც მინისტრ ქალბატონს ჩაანაცვლებს, სავარაუდოდ, კახეთის გუბერნატორი გიორგი ღვინიაშვილი იქნება. სხვათა შორის, ღვინიაშვილის გამინისტრების შესახებ ინფორმაცია თვეებია ვრცელდება, თუმცა, ამჯერად კახეთში დარწმუნებით აცხადებენ, რომ ღვინიაშვილი თავის ამჟამინდელ თანამდებობას ემშვიდობება და მინისტრის პორტფელის მოსარგებად ემზადება.



ხათუნა კალმახელიძე

ინტერნეტ-გაზეთ „ქიზიყის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, უახლოეს დღეებში კახეთის გუბერნატორი გიორგი ღვინიაშვილი თანამდებობას დატოვებს და, სამეგრელო-ზემო-სვანეთის გუბერნატორის მსგავსად, ერთ-ერთი მინისტრის პორტფელს ჩაიბარებს.

როგორც ჟურნალისტებს სოფელ მირზაანიდან აცნობეს, 22 ოქტომბერს სოფელში ფიროსმანობის დღესასწაულზე ჩასული კახეთის გუბერნატორი გიორგი ღვინიაშვილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასა და სხვა თანაგუნდელებს გამოემშვიდობა. ღვინიაშვილმა მათ გაანდო, რომ ეს გუბერნატორის რანგში მისი ბოლო ოფიციალური ვიზიტი იყო და ხელისუფლებამ მისი თბილისში გადაყვანა გადაწყვიტა. საკადრო ცვლილების თაობაზე გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და შესაბამისი ბრძანებაც უახლოეს დღეებში გაფორმდება.

მოკლედ, მირზაანელები დაზუსტებით იტყობინებიან, რომ ღვინიაშვილი ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმის ეზოში გამართულ ღონისძიებაზე საკმაო დაგვიანებით გამოჩნდა და სულ მალე თანაგუნდელებს პირად საუბრებში მოსალოდნელი საკადრო ცვლილებების შესახებაც ესაუბრა. მირზაანში თურმე ისიც აღინიშნა, რომ კახეთის გუბერნატორის სავარძელს, სავარაუდოდ, რწმუნებულის ამჟამინდელი პირველი მოადგილე გიორგი სიბაშვილი დაიკავებს. სიბაშვილმა კონსულტაციები საქართველოს პრეზიდენტთან უკვე გამართა და ამბობენ, რომ საკითხი უკვე გადაწყვეტილია. მართალია, ღვინიაშვილი ჯერ არ ამბობს, რომელი სამინისტროს შეფი ხდება, თუმცა, სხვა წყაროები ადასტურებენ, რომ ეს სწორედ სასჯელაღსრულების მინისტრობა იქნება. ცნობილია, რომ „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ხელმძღვანელმა სოსო მანჯავიძემაც არაერთხელ განაცხადა, რომ ხელისუფლება აპირებს, ხათუნა კალმახელიძე სასჯელაღსრულების მინისტრის თანამდებობიდან გაათავისუფლოს და დიპლომატიურ სამსახურში დაასაქმოს. მანჯავიძის განცხადებით, არ შეეგუებიან იმას, რომ კალმახელიძემ პასუხი არ აგოს იმ დანაშაულებისათვის, რომლებიც ჩადენილი აქვს.



გიორგი ღვინიაშვილი

ხათუნა კალმახელიძის დიპლომატიურ სამსახურში გადასროლის შესახებ ინფორმაცია მონაკოს პრინც ალბერის საქართველოში ვიზიტის შემდეგ კიდევ უფრო გახშირდა. მოგეხსენებათ, ხათუნა კალამახელიძე ლამის მის მთავარ მასპინძლად მოგვევლინა, წამითაც არ მოშორებია გვერდიდან მნიშვნელოვან სტუმარს. დაგვეთანხმებით, თანამდებობრივად მას არანაირი ვალდებულება არა აქვს, უცხოელ სტუმრებს დახვდეს და ნაბიჯ-ნაბიჯ სდიოს. ამბობენ, რომ ამ დროიდან უკვე ცნობილი იყო, კალმახელიძეს ევროპის რომელიმე ქვეყანაში ელჩად მიავლენდნენ. ალბათ, მოსალოდნელ საკადრო ცვლილებებს უკავშირდება კალმახელიძის ბოლო ვიზიტიც ესპანეთში. სამინისტროში აცხადებენ, რომ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი ხათუნა კალმახელიძე ესპანეთში ვიზიტს განაგრძობს. ამ დღეებში ის მადრიდის ერთ-ერთ დაწესებულებაში იმყოფებოდა და ადგილზე ესპანური პენიტენციური სისტემის სპეციფიკას გაეცნო.

ვიზიტის ფარგლებში ხათუნა კალმახელიძე ესპანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს პენიტენციური სისტემის გენერალურ მდივან მერსედეს გალისო ლამასს შეხვდა და ესპანური პენიტენციური და პრობაციის სისტემების თავისებურებებით დაინტერესდა. შეხვედრაზე საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმებიც აღინიშნა. საუბარი ორმხრივი ურთიერთობის გაღრმავებასაც შეეხო.

სამინისტროში, ერთგვარად, თავს იმართლებენ, რომ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო პერიოდულად ახორციელებს ვიზიტებს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, რათა მათი გამოცდილების საფუძველზე საუკეთესო პრაქტიკა გაიზიაროს საქართველოს პენიტენციური და პრობაციის სისტემების მოდერნიზაციისა და ევროპული სტანდარტების დანერგვის მიზნით. მოკლედ, კალმახელიძის სამინისტროში ჯერ არავინ გაამხელს, თუ რას უპირებენ მის ამჟამინდელ შეფს.

# ცაგარეიშვილი საპარლამენტო კომისიის შექმნას ითხოვს

თეა მარხვაიძე

დღეს პარლამენტში დეპუტატების ერთი ნაწილი კომისიის შექმნას მოითხოვს.



გია ცაგარეიშვილი

რომელმაც 26 მაისის და 7 ნოემბრის დარბევის ფაქტები უნდა შეისწავლოს. საპარლამენტო კომისიის შექმნას ფრაქცია ერთობა სამართლიანობისთვის ითხოვს.

ამასთან დაკავშირებით გუშინ ფრაქციამ გაფართოებული სხდომა გამართა. სხდომას აქციაზე დარბეული ადამიანები, მათ შორის ნაცემი ჟურნალისტებიც იყვნენ.

ფრაქციის სხდომაზე უმრავლესობის და უმცირესობის წევრებიც იყვნენ მიპატიჟებული. თუმცა მათ ოპოზიცია არ დააფასეს.

მათი მიუსვლელობა ფრაქციაზე შეიცხადეს. თუმცა ისეთი სახეები ჰქონდათ, ეს მათთვის დიდი მოულოდნელობა არ ყოფილა.

ცაგარეიშვილმა გუშინ ნაციონალების კარჩაკეტილობაზეც ისაუბრა. მან სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ბოლო მოვლენების გამო მმართველი გუნდი კაბინეტებშია გამოკეტილი.

ისე ნაციონალებს გულის და კაბინეტის კარი არც აქამდე ჰქონდათ ხალხისა და ოპოზიციისთვის გაღებული. ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ კი ცხრა კლიტე დაადეს თავიანთ კარს.

როგორც გია ცაგარეიშვილმა განაცხადა, მან იცის, რომ კომისიის შექმნას უმრავლესობა მხარს არ დაუჭერს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საკითხი არ გავა.

უმრავლესობის გარდა კომისიის შექმნას მხარს არც უმცირესობა უჭერს. მათ საკმაოდ საინტერესო არგუმენტები აქვთ. ამბობენ, რომ ამ დარბევებს ხელისუფლება მაინც არ გამოიძიებს.

ეს ამბავი გია ცაგარეიშვილმაც კარგად იცის. ამის მიუხედავად, კომისიის შექმნას ,მაინც მოითხოვს.

– მაშინ რა აზრი აქვს საერთოდ ჩვენს არსებობას? მაშინ დავიხუროთ თავზე ქუდი, მივიდეთ მტკვართან და გადავეშვათ წყალში. ფრაქცია კომისიის შექმნის საკითხს 28 ოქტომბრის პლენარულ სხდომაზე აუცილებლად დააყენებს. მე ხალხის რეაგირების იმედი მაქვს. ნამდვილად არ მაქვს იმის ილუზია, რომ კომისიის შექმნის საკითხს პავლე კუბლაშვილი ორივე ხელით დააჭერს თითს, – განაცხადა ცაგარეიშვილმა.

# მალხაზ გულაშვილი შვილთან ერთად პოლიციას თავად ჩაბარდა

## „ფსიქოლოგიურსა და ფიზიკურ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია“

შალვა ჯოხაძე

საქართველოს მთავარი პროკურატურა იტყობინება, რომ 25 ოქტომბერს აზერბაიჯანი-საქართველოს სასაზღვრო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე ქართველმა სამართალდამცველებმა ძებნილი მალხაზ გულაშვილი და მისი შვილი, დავითი დააკავეს. თუმცა, ირკვევა, რომ გულაშვილი კი არ დაიჭირეს, ის თავად ჩამოვიდა და შვილთან ერთად ქართველ სამართალდამცავებს საკუთარი ნებით ჩაბარდა.

„მალხაზ გულაშვილი ტელეკომპანია „კავკასიის“ სტუდიაში მომხდარი ინციდენტისა და საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით იძებნებოდა. მასთან ერთად დაკავებულ იქნა საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით ძებნილი დავით გულაშვილი.

მალხაზ გულაშვილმა სრულად აღიარა დანაშაული და ითანამშრომლა გამოძიებასთან, რის საფუძველზეც მასთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და სასჯელის სახით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით. დავით გულაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნა გირაო და ის გათავისუფლდა პატიმრობიდან“, – ორი დღის დაგვიანებით გვამცნო ოფიციალურმა უწყებამ. თუმცა, საინტერესოა, ამ ფაქტის შესახებ ჟურნალისტურ წრეებში 25 ოქტომბერსვე რატომ არ გახდა ცნობილი. როგორც ჩანს, დაკავებულების ოჯახის წევრებსა და ახლობლებს შორის იყო ასეთი შეთანხმება. მით უმეტეს, ირკვევა, რომ გულაშვილებს სამართალდამცავების მიმართ პრეტენზიები არ აქვთ.

ოფიციალური ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, მალხაზ გულაშვილის მეუღლემ ნანა გაგუამ ჟურნალისტებს ამ ფაქტის შესახებ დეტალები გაუმხილა. მან განაცხადა, რომ გულაშვილი საზღვრის უკანონოდ გადაკვეთას იმთავითვე აღიარებდა. „თავიდანვე ვაღიარებდით, რომ საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებით შეცდომა მოგვივიდა“, – განუცხადა ნანა გაგუამ სააგენტო „პირველს“.



მალხაზ გულაშვილი

„საქართველოში დაბრუნების დიდი სურვილი გვქონდა, მაგრამ იმის გამო, რომ ჩემი ვაჟი ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო, არ გვინდოდა, წელი ჩავარდნოდა. მან სწავლა ქართულ სკოლაში დაასრულა, შემდეგ კი სლოვაკეთის უნივერსიტეტის დიპლომატიური ფაკულტეტის პირველკურსელი გახდა.

ამის შემდეგ, ჩვენს ადვოკატთან, თეო ფერაძესთან შევთანხმდით და მან განცხადება გააკეთა, რომ ჩვენ საქართველოში ვბრუნდებოდით. საზღვართან ადვოკატი დაგვხვდა, შემდეგ კი მალხაზი და ჩემი ვაჟი შესაბამისი იურიდიული წესების დაცვით დააკავეს. მინდა, ცალსახად განვაცხადო, რომ არანაირ ზეწოლას, არც ფსიქოლოგიურსა და მით უმეტეს – ფიზიკურს ადგილი არ ჰქონია.

ყველაფერი ძალიან დემოკრატიულად და ცივილიზებულად მოხდა. ახლა ჩემი შვილი სახლში მყავს

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩიშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ვენეციის კომისიამ ნაციონალები ტყუილში გამოიჭირა

## რა დაუწუნა კომისიის მდივანმა საპარლამენტო უმრავლესობას

**ვენეციის კომისიის შეხვედრები პარლამენტში დასრულდა. ირკვევა, რომ საარჩევნო კოდექსის პროექტზე ამ კომისიის დასკვნა 16–17 დეკემბერს დამტკიცდება. ამის შესახებ გუშინ ვენეციის კომისიის მდივანმა თომას მარკერტმა შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მან იმედი გამოთქვა, რომ საბოლოო დასკვნამდე, ვენეციის კომისიისთვის გადაგზავნილი პროექტი გადამუშავდება და ცვლილებებს დაექვემდებარება. მარკერტმა ხაზი გაუსვა იმ გარემობას, რომ პროექტში, რომელიც მათ აქვთ ხელთ, სადამკვირვებლო მისიების მიერ აქამდე გამოთქმული შენიშვნები ასახული არ არის.**

შალვა ჯოხაძე

„გარკვეული ასპექტები ჩვენი კრიტიკული შეფასებებისა, რომელიც გვქონდა გამოთქმული კანონმდებლობასთან დაკავშირებით, ახალ კანონპროექტშიც არ არის ასახული“, – განაცხადა თომას მარკერტმა და ამ საკითხებს შორის, პატიმრებისთვის ხმის მიცემის უფლება, დამოუკიდებელ კანდიდატებთან დაკავშირებული შენიშვნა და პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის უზრუნველყოფა დაასახელა.

მისივე განცხადებით, საქართველოს შემთხვევაში, პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობა ყველაზე დაბალია. ვენეციის კომისიის ექსპერტებს ხელისუფლებასთან გამართული შეხვედრებისას დარჩათ შთაბეჭდილება, რომ პროექტი გადამუშავდება და ის საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოვა.

აღსანიშნავია, რომ ვენეციის კომისია ბიომეტრიული არჩევნების ჩატარებას ოპტიმალურ გამოსავლად მიიჩნევს. კომისიის მდივან ტომას მარკერტის თქმით, ვებკამერებთან დაკავშირებით, ვენეციის კომისიას ყოველთვის აწუხებდა პრობლემა, რომ შესაძლოა, საარჩევნო უბნებზე კამერების არსებობას გამოეწვია ამომრჩეველთა სიფრთხილე და შეშინება.

მისივე თქმით, როგორც ჩანს, გარკვეული ხარვეზები არსებობდა წარსულში მარკირებასთან დაკავშირებითაც. ტომას მარკერტს მიაჩნია, რომ სავარაუდოდ, სხვა მიდგომები და გზები უნდა გამოინახოს იმ საკითხების მოსაგვარებლად, ვისთვისაც ეს კამერები და თუნდაც მარკირება არსებობდა.

„გრძელვადიან პერსპექტივაში ალბათ, ბიომეტრიული მონაცემების გამოყენება იქნებოდა ყველაზე კარგი და ოპტიმალური გამოსავალი, მაგრამ ამას ალბათ დრო სჭირდება და ვერ მოესწრება უახლოესი არჩევნებისთვის“, – დასძინა ტომას მარკერტმა.

ვენეციის კომისია იმედოვნებს, რომ საქართველოს ხელისუფლება გუბერნატორებს წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართვის შესაძლებლობას არ მისცემს და სახელმწიფო კომპანიებთან მიმართებაშიც შეიცვლის პოზიციას.

მარკერტის თქმით, გუბერნატორების მონაწილეობის და სახელმწიფო კომპანიების მიერ საარჩევნო კამპანიის დაფინანსების საკითხი უკანასკნელ დღეებში გამართული შეხვდერების დღის წესრიგში იყო. მანვე აღნიშნა, რომ ვენეციის კომისიის ექსპერტების მოსაზრებაა, რომ გუბერნატორებს საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის მიღების უფლება არ ჰქონდეთ. ასევე, ტომას მარკერტი იმედოვნებს, რომ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ კომპანიებთან მიმართებაშიც პოზიციები შეიცვლება და კანონმდებლობაში „იმაზე განსახვავებული პოზიცია დაფიქსირდება, ვიდრე დღევანდელ პროექტშია“.

ტომას მარკერტმა ხაზი გაუსვა პარტიების დაფინანსების საკითხში ევროსაბჭოს კორუფციასთან ბრძოლის ორგანიზაციის – გრეკოს რეკომენდაციების არსებობას და მათი, როგორც „საარჩევნო კოდექსში“, ისე სხვა საკანონმდებლო აქტებში ასახვის მნიშვნელობასაც.



შეგახსენებთ, რომ საქართველოში ორდღიანი სამუშაო ვიზიტით მყოფმა ვენეციის კომისიის წევრებმა პირველი შეხვედრა პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან, მიხეილ მაჭავარიანთან გამართეს. შეხვედრას საპარლამენტო უმრავლესობის წევრები: პავლე კუბლაშვილი, აკაკი მინაშვილი და ჩიორა თაქთაქიშვილი ესწრებოდნენ.

მხარეებმა განიხილეს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის პოლიტიკური შეთანხმების საფუძველზე შემუშავებული ახალი საარჩევნო კოდექსის პროექტი. საუბარი შეეხო საარჩევნო ოლქებს, დამოუკიდებელ კანდიდატებს, მსჯავრდებულებისთვის კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების მინიჭებას, საარჩევნო კოდექსის ტექსტის გარკვეული ნაწილების დახვეწას და სხვა საკითხებს.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ვენეციის კომისია აქტიურად ჩაერთო საარჩევნო კანონმდებლობის შემუშავებასა და დახვეწაში, რაც ჩვენი ინიციატივა იყო. ეს არის ძალიან სერიოზული ნაბიჯი იმისთვის, რომ დოკუმენტი კიდევ უფრო დაიხვეწოს და საარჩევნო რეფორმა წარმატებული იყოს“, – განაცხადა აკაკი მინაშვილმა.

ვენეციის კომისიის წევრებმა პარლამენტში მორიგი სამუშაო შეხვედრა ახალ საარჩევნო კოდექსზე მომუშავე სარედაქციო ჯგუფის წევრებთან გამართეს.

სარედაქციო ჯგუფის წევრები სტუმრებს კოდექსზე მუშაობის პროცესში ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის გაფორმებულ შეთანხმებაზე ესაუბრნენ. ჯგუფის წევრების განცხადებით, საუბარი აგრეთვე შეეხო იმ საკითხებსაც, რომლებიც მმართველმა გუნდმა ოპოზიციური პარტიების თანხმობის გარეშე შეიტანა საარჩევნო კოდექსში. კერძოდ, ვიდეო თვალისა და მარკირების გაუქმებაზე, გუბერნატორებისთვის და გამგებლებისთვის საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის უფლების დართვასა და მსჯავრდებულთათვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მინიჭებაზე. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ვენეციის კომისიის წევრებმა სარედაქციო ჯგუფის წევრების მოსაზრებები მოისმინეს.

„ეს ვიზიტი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ვენეციის კომისიამ შეიმუშაოს ობიექტური დასკვნა საქართველოში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან და საარჩევნო კოდექსში ცვლილებებთან დაკავშირებით. შეხვედრაზე ვისაუბრეთ ყველა საკითხზე და მათ შორის იმ შეთანხმებაზე, რომელიც გაფორმდა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, რაც წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა არ არის საკმარისი“, – განაცხადა სარედაქციო ჯგუფის წევრმა, „ახალი მემარჯვენეების“ წარმომადგენელმა მამუკა კაციტაძემ.

ვენეციის კომისიის წევრებთან შეხვედრაზე სარედაქციო ჯგუფიდან ასევე მონაწილეობდნენ ქრისტიან-დემოკრატების წარმომადგენლები: ლევან ვეფხვაძე და გიორგი ახვლედიანი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები: გურამ ჩახვაძე და გიორგი გოგნიაშვილი, ასევე პოლიტიკური გაერთიანება „ევროპელი დემოკრატების“ წარმომადგენელი.

საქართველოს პარლამენტში დაგეგმილი შეხვედრების ფორმატში ვენეციის კომისიის წევრები საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებს: პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ევროპელი დემოკრატების“ თავმჯდომარეს, პაატა დავითაიას, ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარეს, გიორგი ახვლედიანს და „ქართული დასის“ ლიდერს ჯონდო ბაღათურიას შეხვდნენ.

დეპუტატებმა კომისიის წევრებს საკუთარი შეხედულებები გააცნეს საარჩევნო გარემოსა და ახალი საარჩევნო კოდექსის პროექტთან დაკავშირებით.

ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარის, გიორგი ახვლედიანის განცხადებით, საარჩევნო უბნებზე ვიდეო თვალის არსებობა აუცილებელია. მისი მოთხოვნაა, არ გაუქმდეს მარკირება, საინიციატივო ჯგუფებს არ მიეცეთ უფლება წარმოადგინონ თავიანთი კანდიდატები და მსუბუქი დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდებულებს არ მიეცეთ საარჩევნო ხმის უფლება.

„ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდო ბაღათურიამ კომისიის წევრებს განუცხადა, რომ საქართველოში საარჩევნო ვითარება გაუარესებულია საარჩევნო სიების გაყალბების, ფინანსური რესურსების წვდომის, მედია თავისუფლების და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების კუთხით.

პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ევროპელი დემოკრატების“ თავმჯდომარე პაატა დავითაია სტუმრებს საარჩევნო რეფორმის მიმდინარეობაზე ესაუბრა. მან აღნიშნა, რომ ვენეციის კომისიის დასკვნები ქართულ მხარეს დაეხმარება არჩევნებისთვის შექმნას გამართული საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ხელს შეუწყობს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულ გარემოში ჩატარებას.

# მალხაზ გულაშვილი შვილთან ერთად პოლიციას თავად ჩაბარდა

დასაწყისი მე-2 გვერდზე

და ეს ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია“, – აღნიშნა ნანა გაგუამ.

ტელეკომპანია „კავკასიაში“ მომხდარი ინციდენტის გამო წაყენებულ ბრალდებასთან დაკავშირებით, ნანა გაგუა ამბობს, რომ ამ ინციდენტთან მალხაზ გულაშვილს არანაირი შეხება არ ჰქონია და ეს არც მის ბრალში ფიგურირებს.

დავით გულაშვილის მიმართ საგამოძიებო მოქმედებები ისევ გრძელდება და მას სასამართლოს წინაშე წარდგომა ისევ მოუწევს.

„ვაცნობიიერებთ, რომ ჩემი შვილი უნდა წარდგეს სასამართლოს წინაშე., წარდგება კიდეც. რამდენიმე დღეში მისი საბუთების სლოვაკეთის უნივერსიტეტიდან საქართველოში გადმოტანის საკითხის მოგვარებას შევუდგებით, რათა ჩემმა ვაჟმა სწავლის გაგრძელება საქართველოში შეძლოს“, – განაცხადა მალხაზ გულაშვილის მეუღლემ.

მედიაჰოლდინგ „ჯორჯიან თაიმსისა“ და „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის“ დამფუძნებელი მალხაზ გულაშვილი შვილთან ერთად რუსეთის ფედერაციაში 2010 წლის მაისში ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის გავლით გადავიდა. ამის მიზეზად, გულაშვილმა მუქარა დაასახელა. როგორც გულაშვილმა განაცხადა, მისი საქმიანობის გამო დავით გულაშვილს ემუქრებოდნენ. გულაშვილის საქართველოდან წასვლას წინ უძღვოდა პრობლემები სამართალდამცავებთან, რომლებიც „კავკასიაში“ მომხდარი ჩხუბის შემდეგ შეექმნა. ერეკლე დეისაძის წიგნის „საიდუმლო სირობის“ გარჩევა იქ ცემა-ტყეპაში გადაიზარდა. პირდაპირ ეთერში დაწყებული ჩხუბის გამო რამდენიმე ადამიანი დააკავეს და პატიმრობაც შეუფარდეს.

საქართველოს დატოვების შემდეგ, გულაშვილი შვილთან ერთად მოსკოვში იმყოფებოდა. მისი გაზეთის („ჯორჯიან თაიმსი“) ბეჭდური ვერსია დაიხურა, თუმცა ინტერნეტგამოცემამ ნანა გაგუას ხელმძღვანელობით განაგრძო ფუნქციონირება.

# ივანიშვილის ქველმოქმედება ხელისუფლებასთან კითხვებს აჩენს

**მედიაში გამოჩნდა „ამბები. ჯი“-ს მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია ბიძინა ივანიშვილის მიერ საქართველოში 2005–2010 წლებში განხორციელებულ პროექტებზე, რომელთა საერთო ღირებულებამ 1 156 081 151 ლარი შეადგინა. ამ ინფორმაციით გაირკვა, რომ ბევრი პროექტი, რომელსაც ხელისუფლება საკუთარ დამსახურებად ასაღებდა, რეალურად ბიძინა ივანიშვილის ფონდების („ქართუ“,“ქართუ“, „ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი“ და ასოციაცია „ატუს“) თანხებით ხორციელდებოდა.**



ბიძინა ივანიშვილი

გიორგი უძილაური

მხოლოდ 2010 წელს 2 მილიონზე მეტი თანხით შეკეთდა „თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი“ („ფილარმონია“), 3.5 მილიონი მოხმარდა მწვრთნელებსა და სპორტსმენებს, 2 მილიონზე მეტი რაგბის კავშირს, 10 მილიონზე მეტი მედიცინას, მილიონზე მეტი მეცნიერებათა აკადემიას, მილიონზე მეტი ბოტანიკურ ბაღსა და ბოტანიკის ინსტიტუტს, ნახევარი მილიონით კი საჯარო სკოლებისთვის ის ტექნიკა იყიდა, რომელსაც სააკაშვილი მის პირად ინიციატივად და საჩუქრად ასაღებდა, 17 მილიონად ფრანგული სკოლა აშენდა, 10 მლნ ლარით – პროექტი „ქონების დაგროვება 2010 წლის საგრანტო პროგრამების შესრულებისა და საქველმოქმედო საქმიანობისთვის“. 6 791 100 ლარი – საჩხერის რაიონის მიწისძვრით დაზარალებული მოსახლეობის სახლების რეაბილიტაციაზე, 6 673 500 ლარი – საჩხერის სამედიცინო კომპლექსის მშენებლობაზე, 6 041 600 ლარი კი რაგბის სტადიონების მშენებლობაზე დაიხარჯა. სოციალურად დაუცველი პირების დასახმარებლად 2010 წელს „ქართუმ“ 592 726 ლარი გამოყო. სხვადასხვა ხარჯებს (ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯები, სესხის პროცენტი და საკურსო სხვაობა) კი 1 990 318 ლარი დასჭირდა. 2010 წელს ივანიშვილმა 212 ეკლესიის რესტავრაცია დააფინანსა 4 მილიონზე მეტი ლარით... ციფრებით რომ არ გადაგღალოთ, ეს სფეროები ფინანსდებოდა წლების განმავლობაში. ივანიშვილმა მოახდინა ჯანაშიას მუზეუმის, გრიბოედოვის თეატრის, რუსთაველის თეატრის, მარჯანიშვილის თეატრის, ჯ.კახიძის მუსიკალური ცენტრის რესტავრაცია, ზესტაფონი–ჭიათურის გზა, სამების საკათედრო ტაძარი, ციცინათელას გასართობი კომპლექსი, ბათუმის დელფინარიუმი... მხოლოდ 2006 წელს განათლების ობიექტების რეაბილიტაციაში 24 მილიონზე მეტი დახარჯა, ხოლო მხოლოდ 2009 წელს მანქანა-დანადგარების შესყიდვაზე 17 მილიონზე მეტი გაიღო... და ა.შ. ამას დაუმატეთ საჩხერის ბრიგადის დაფინანსება და პოლიციისთვის ტექნიკის ყიდვა.



მიხეილ სააკაშვილი

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# რურუას სტურუას გადააყოლებენ?

ქეთი ხომერიკი

**რატომ გაათავისუფლეს კვეზერელი, ვინ შეცვლის კალმახელიძეს, რას ნიშნავს რურუას წამოსვლა მმართველი გუნდიდან, ვისი ბიოგრაფიების შესწავლას ურჩევს ივანიშვილს მანჯავიძე და დაინიშნება თუ არა გადამდელი არჩევნები? „ახალი თაობა“ „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ლიდერ სოსო მანჯავიძეს ესაუბრა.**



სოსო მანჯავიძე

**სოსო მანჯავიძე:**

– მე გეუბნებოდით, ძალიან მალე „ნაციონალური მოძრაობის“ რღვევის პროცესი დაიწყება-მეთქი და, როგორც ხედავთ, დაიწყო – სახეზე გვაქვს ბაკურ კვეზერელის მოხსნა დაკავებული თანამდებობიდან. რატომ მაინცდამაინც კვეზერელი? ჯერ ერთი, კვეზერელი პირდაპირ არის დაკავშირებული სოფლის მეურნეობის კრახთან. მერე რა, რომ ის მეისრის როლს ასრულებდა? ის ცნობილი ყბადაღებული ექსპერიმენტი ამერიკულ სიმინდთან დაკავშირებით ყველას გვახსოვს. 10 ათას ჰექტარზე დაითესა ეს სიმინდი და 7 ათას ჰექტარზე საერთოდ არანაირი მოსავალი არ მოვიდა. რაც მოვიდა, ისიც აბსოლუტურად უხარისხო და უვარგისია. ქართულმა ძროხებმა გაფიცვა გამოაცხადეს და უარს ამბობენ ზემოაღნიშნული სიმინდის ჭამაზე. დიახ, ძროხებმაც კი უარი თქვეს. მათ უფრო მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება აღმოაჩნდათ, ვიდრე ზოგიერთ ჩვენს თანამოქალაქეს. სხვათა შორის, კვეზერელს ძალიან მალე ბევრი სხვა მინისტრიც მიჰყვება. ისინიც მის ბედს გაიზიარებენ.

***–ქდმ-მ აღნიშნა, კვეზერელის მოხსნა ნაწილობრივ ჩვენი დამსახურებააო.***

– ქდმ-მ რა განაცხადა, აღარავის აინტერესებს, მგონი, თვითონ ქდმსაც კი. თუმცა, არა, ქდმ-ს განცხადებები მხოლოდ თორთლაძეს, დავითაიას, მემარჯვენეებსა და ბაჩუკი ქარდავას აინტერესებთ. ის გახდა განსაკუთრებით დაინტერესებული ქდმ-ს განცხადებებით. ყველამ იცის ეს თამაში უკვე, ისინი გაშიფრულები არიან. ეს არის სახელისუფლებო თამაში და ახლა გინდა განცხადებები აკეთონ და გინდა... ყველასთვის გასაგებია, ქდმ ვინ არის, ისევე, როგორც ეს ფსევდოოპოზიციური პარტიები.

***– ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში სად ხედავთ ამ პარტიებს?***

– ქდმ-ს ახალ საქართველოში, როგორც პარტიას, ნამდვილად ვერ ვხედავ. დამერწმუნეთ, საპნის ბუშტივით გასკდებიან ის პარტიები, რომლებიც ხელისუფლებასთან თანამშრომლობენ. ნაციონალურ მოძრაობას კი იმავე ბედს ვუწინასწარმეტყველებ, რომელიც ეწია მოქალაქეთა კავშირს. მათგან ზოგი ციხეში იქნება, ზოგი საზღვარგარეთ გაიქცევა, ხოლო ისინი, ვისაც არ აქვს ჩადენილი დანაშაული, ჩვეულებრივად იცხოვრებენ ამ ქვეყანაში. აი, ასე ვუყურებ მე მათ პოლიტიკურ მომავალს. კვეზერელის თემას დავუბრუნდეთ. ის არ იყო უბრალოდ მეისრე. ის ახორციელებდა ხელისუფლების დანაშაულებრივ პოლიტიკას. რთველს და ამ სიმინდს ვიღაც ხომ უნდა გადაჰყოლოდა, ჰოდა, გადააყოლეს კიდეც.

***– ვინ იქნება შემდეგი?***

– სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი ხათუნა კალმახელიძე. სხვათა შორის, მას დღემდე კბილებით იცავდნენ, რადგან ის არ არის უბრალოდ მინისტრი. კალმახელიძე ხელისუფლების საკმაოდ სერიოზულ ინტერესებს ახორციელებს. მას და მის ნათესავებს გარკვეული კავშირები აქვთ საზღვარგარეთ, შესაბამისად, გარკვეულ მითითებებს ასრულებს. მას მფარველებიც ჰყავს და თქვენ ნახეთ მონაკოს პრინცთან მისი დახვედრაც. რატომღაც მონაკოს პრინცს კალმახელიძე დახვდა. საერთოდაც, მან და მისმა ნათესავებმა ჩამოიყვანეს მონაკოს პრინცი საქართველოში და შემდეგ ის რატომღაც მოსკოვში გაფრინდა. ისე, ხან მოსკოვიდან ჩამოდიან თბილისში ეს უცხოელები (რომლებიც შემჩნეულნი არიან გარკვეული ბნელი სქემების განხორციელებაში), ხან თბილისიდან მოსკოვში მიდიან.

***– რა ბნელი სქემები, რას გულისხმობთ?***

– ათასნაირი სქემაა, იგივე ფულის გათეთრების და სხვა. თუმცა კალმახელიძის მოხსნის საკითხი დგას არა ამ სქემების, არამედ იმ კატასტროფული მდგომარეობის გამო, რომელიც პენიტენციალურ სისტემაშია შექმნილი.

***– ეს კატასტროფული მდგომარეობა დღეს არ შექმნილა, კალმახელიძეს კი არავინ შეხებია და რატომ ფიქრობთ, რომ ახლა გაწირავენ?***

– ციხეებში არსებულმა მდგომარეობამ პიკს მიაღწია და იმიტომ. ინფორმაციამ, ფაქტებმა პატიმრების წამებისა და მოკვდინების შესახებ უკვე გააღწია საქართველოდან და, ბუნებრივია, ახლა აქ ძალიან მძიმე დამოკიდებულებაა. ევროპელები ვერ ეტყვიან სააკაშვილს, შენ ხარ დამნაშავეო, მაგრამ ვიღაც ხომ უნდა დაისაჯოს ან ვიღაც ხომ უნდა გათავისუფლდეს მინიმუმ? ჩემი ინფორმაციით, კალმახელიძეს აუცილებლად მოხსნიან, თანაც, ძალიან მალე. ჩვენ მივწერეთ დიპლომატიურ კორპუსს, რომ იქნებ გამეორდეს 2006 წლის პრეცედენტი, მონიტორინგს ვგულისხმობ, ოღონდ ეს უნდა გახდეს მუდმივმოქმედი და ამაში ჩართული უნდა იყოს ქართული მედია და საზოგადოებრივი სექტორი. აი, ამით შეიძლება ამ ადამიანების გადარჩენა.

***– თქვენ კალმახელიძის კონტაქტები ახსენეთ. ამის გათვალისწინებით პენსიაზე გაშვება არ ემუქრება მას?***

– დიახ, სადმე წაიყვანენ, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ დასჯიან, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ათასნაირი კუდით არიან ესენი ერთმანეთზე გადაბმულნი. ისე, ამ სისტემიდან ორი გზა არსებობს – ან საპატიო პენსიაზე გაუშვებ ადამიანი, ან მოკლან. და თუ გაასწრებ ქვეყნიდან, მერე, მოგეხსენებათ... რა თქმა უნდა, კალმახელიძეს ზემოთ ჩამოთვლილი გზებიდან არც ერთი არ ემუქრება, თუმცა, ადრე თუ გვიან ის ყველაფერზე აგებს პასუხს.

***– თუ გაქვთ ინფორმაცია, ვინ შეცვლის მას?***

– სავარაუდოდ, გიორგი ღვინიაშვილი. სოფლის მეურნეობის მინისტრად ხომ დანიშნეს ზონდერბრიგადების ორგანიზატორი გოროზია, ჰოდა, პენიტენციალურ სისტემაშიც იმავეს აპირებენ. გოროზიამ ახლა იმდენი იცის სოფლის მეურნეობაზე, რამდენიც ღორმა – მათემატიკაზე, შეიძლება, კიდევ უფრო ნაკლები, მაგრამ მას აქვს კარგი გამოცდილება ზონდერბრიგადების ორგანიზებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოში ზონდერბრიგადების დისლოკაციის ახალ კერად გადაიქცევა, ისევე, როგორც სასჯელაღსრულების სამინისტრო, რადგან ღვინიაშვილსაც აქვს ეს პრაქტიკა გავლილი, ის ამ სფეროში გამობრძმედილია. და მესამე მინისტრი, რომელსაც მოსალოდნელი სამთავრობო ცვლილებები შეეხება ნიკოლოზ რურუაა. აი, რურუა კი გაცილებით სერიოზული საკითხია. რურუა არ არის უბრალო ფიგურა, მისი წარსულისა და კავშირების გამო. სწორედ აქ ჩანს ნაციონალური მოძრაობის რღვევის პროცესი. ეს არის ზუსტად იმ რღვევის დასაწყის-გაგრძელება, რომელზეც ადრე მოგახსენეთ. რურუა თავისი მნიშვნელობით გამორჩეული ფიგურაა ნაციონალურ მოძრაობაში. ის არის ვერის, ქალაქელებისა და საკმაოდ გავლენიანი წრეების წარმომადგენელი ხელისუფლებაში და განასახიერებს ამ წრეებს ხელისუფლებაში.

***– რურუას ათავისუფლებენ, თავად მიდის თუ რა ხდება? ითქვა, სტურუას ამბავს გადააყოლებენო...***

– არავის შესწირვია, დამერწმუნეთ, რურუა არ არის ის ფიგურა, რომელიც ვიღაცას შეეწირება. რურუა მიდის. რურუას წასვლა კი ნიშნავს კონფლიქტს. რურუას ვერ გაათავისუფლებს სააკაშვილი. ეს ის ფიგურაა, რომელსაც ვერ გააგდებ. ვიმეორებ, მისი წასვლა ნიშნავს, რომ იქ სერიოზული პრობლემაა და არა მარტო რურუასა და სააკაშვილს შორის.

***– აბა? რატომ აითვალწუნა რურუა სააკაშვილმა?***

– ჯერ კიდევ საკითხავია, ვინ ვინ აითვალწუნა, რურუამ სააკაშვილი თუ სააკაშვილმა რურუა. სხვათა შორის, სააკაშვილი რურუებს უნდა უმადლოდეს ხელისუფლებაში ყოფნას. რურუას წამოსვლა ნიშნავს ქალაქის სერიოზული სეგმენტის წამოსვლას ხელისუფლებიდან, რომლებსაც გაცილებით მეტი გავლენა აქვთ, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია, მათ შორის, ძალოვან თუ სხვა სამინისტროებში.

***– რურუამ განაცხადა, არსად წასვლას არ ვაპირებ, მათ შორის, არც იტალიის ელჩადო....***

– თქვენი აზრით, რურუას მოეწონება, ელჩად რომ დანიშნონ? აბა, რას იტყოდა, ან რა უნდა ეთქვა? დამერწმუნეთ, რურუა მიდის. ადრეც გითხარით და ახლაც გაგიმეორებთ, ივანიშვილის გამოჩენა მმართველი პარტიის რღვევას გამოიწვევს.

***– არ მითხრათ ახლა, რურუას ივანიშვილის გუნდში ვიხილავთო...***

– არ არის გამორიცხული. ერთი რამ უდავოა – სააკაშვილის რეჟიმის რღვევის პროცესი გაგრძელდება. ივანიშვილი ვახსენეთ და აქვე ვიტყვი ერთ რამეს: მან განაცხადა, რომ ჯერ ვერ ახერხებს გუნდის დაკომპლექტებას, თუმცა ახერხებს რეაგირებას ხელისუფლების უმსგავს ქმედებებზე. ივანიშვილმა მაქსიმალურად მოკლე დროში უნდა მოიძიოს მეტი ინფორმაცია იმ ადამიანებზე, რომლებთანაც აპირებს თანამშრომლობას, უნდა შეხვდეს იმ ძალებს, რომლებიც რეალურად არიან დაპირისპირებულნი ხელისუფლებასთან და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს უმოქმედოდ. ვურჩევ ივანიშვილს, რომ შეისწავლოს ბიოგრაფიები, დიახ, კარგად შეისწავლოს იმ ადამიანების ბიოგრაფიები, რომლებთანაც არის და თანამშრომლობას გეგმავს. ნუ დადგება იმ ადამიანებთან, რომლებსაც ერთხელ და ორჯერ აქვთ ღალატი ჩადენილი, იგივე გადახტომა-გადმოხტომები. დიახ, მათ გვერდში ნუ დადგება. ის ძალიან დიდი იმედია საქართველოსა და ქართველი ხალხისთვის და მისი დამარცხება ყველა ჩვენგანის დამარცხება იქნება.

# გუბაზ სანიკიძე: „სააკაშვილის ერთადერთი გამოსავალი არჩევნების დანიშვნაა“

ნათია ხურცილავა

**გუბაზ სანიკიძე აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილის მთავარი შეცდომა მიხეილ სააკაშვილის მოედანზე შესვლა და მისი თამაშის წესებით მოქმედება იქნება. სანიკიძე ბიძინა ივანიშვილისა და მიხეილ სააკაშვილის ურთიერთობას ნერვების ომს უწოდებს.**

სანიკიძემ გუშინ ღიად განაცხადა, რა წინაპირობა იყო ხელისუფლებასთან თანამშრომლობის.

გუბაზ სანიკიძე აცხადებს, რომ არჩევნები სააკაშვილს არ აწყობს. ის შეეცდება პროცესების გამწვავებას და მათ პროვოცირებას ქუჩის აქციებისა და დაშანტაჟების გზით.

ეროვნული ფორუმის ერთ-ერთმა ლიდერმა გუბაზ სანიკიძემ „პრაიმ-თაიმში“ გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს განუცხადა, რომ უახლოეს დღეებში ივანიშვილთან კახა შარტავა შეხვედრას გამართავს. როგორც ის ამბობს, ამ შეხვედრაზე უფრო მეტი დეტალი გაირკვევა ეროვნული ფორუმისა და ბიძინა ივანიშვილის ურთიერთობებში.

რა იყო პირველი შეხვედრის მთავარი ამოცანა? სანიკიძე ამბობს, რომ მათი შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო. მიუხედავად იმისა, რომ მას კითხვები აქვს ივანიშვილთან, რომლებიც ქვეყნის სტრატეგიულ, სამომავლო საკითხებს ეხება, მას ეს კითხვები არ დაუსვამს.

–თანამშრომლობა რა სახის იქნება, ეს შემდეგ შეხვედრებზე გაირკვევა. პირველი შეხვედრა გაცნობითი იყო. საათ-ნახევარი ვისაუბრეთ. ჩვენი შეხედულებები შევაჯერეთ ქვეყანაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. შევთანხმდით ორ საკითხზე, რომ ჩვენ შორის თანამშრომლობა გაგრძელდება და გაღრმავდება, ასევე შევთანხმდით ნოდარ ჯავახიშვილის „ქართუ ჯგუფის“ ხელმძღვანელობაზე. გარკვეული მოსაზრებები გვაქვს შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, რომლებსაც რჩევის სახით შევთავაზებთ მას. მისგანაც ალბათ მოვისმენთ წინადადებებს, – განაცხადა სანიკიძემ.

ივანიშვილმა ჯერჯერობით მხოლოდ ორ პოლიტიკურ პარტიასთან – თავისუფალ დემოკრატებთან და რესპუბლიკელებთან გამოთქვა თანამშრომლობის სურვილი.

გუბაზ სანიკიძე აცხადებს, რომ ეროვნულ ფორუმთან ივანიშვილის თანამშრომლობის გაჭიანურების მიზეზი რანგირება არ არის. ის ამბობს, რომ მათ თავიანთი პოზიციის შეჯერება მოუწევთ, ისევე, როგორც ალასანიასა და რესპუბლიკელებს.

– როგორ განვითარდება მოვლენები, ვნახოთ, წინასწარ ვერაფერს გეტყვით. არ მაქვს ინფორმაცია დეტალებზე და, რომც მქონდეს, თავს შევიკავებდი წინასწარ გახმაურებისაგან. სამუშაოები ჯერ კიდევ წინ არის, – აცხადებს სანიკიძე.

რაც შეეხება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციის ერთიანი კოალიციით გასვლას, ამ საკითხზე სანიკიძის მოსაზრება ასეთია:

– ამ საკითხზე მნიშვნელოვანი იქნება ბატონი ბიძინას ხედვები. ამის მიხედვით რამდენიმე ვარიანტს შევთავაზებთ მას რჩევის სახით. ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ განვითარდება მოქალაქეობის საკითხი, შექმნის თუ არა პირადად პოლიტიკურ ორგანიზაციას. ჯერჯერობით ეს საკითხი გარკვეული არ არის, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ პირველ შეხვედრაზე ამაზე საუბარი არ გვქონია, – ამბობს გუბაზ სანიკიძე.

ბიძინა ივანიშვილის განცხადებას, რომ ის პარლამენტში აბსოლუტური უმრავლესობით აპირებს მოსვლას, მემარჯვენე ფიქრია ჩიხრაძემ ერთი მონსტრის მეორით ჩანაცვლება უწოდა.

ამაზე გუბაზ სანიკიძე ამბობს, რომ დღეს მონსტრი ქვეყანაში გვყავს, რომელმაც ძალიან აზარალა ჩვენი ქვეყანა.

– მან გვითხრა, 90 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ და უმრავლესობით მოვალთო. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის 90 პროცენტით მოვა ხელისუფლებაში. ეს მას არსად უთქვამს. ეს იყო კერძო საუბარშიც და მის განცხადებაშიც. თუ ადამიანი შარზე არ არის და დავალება არა აქვს, ძალიან კარგად გაიგებდა ამას. არა მგონია, რომ ბიძინა ივანიშვილი მონსტრი იყოს. მონსტრი სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობაა. ჩემთვის მთავარი ამ ქვეყნის ფეხზე დაყენებაა, ამისთვის კი პირველი პირობა ის არის, რომ სააკაშვილი უნდა მოშორდეს ხელისუფლებას. უკვე გამოჩნდა ძალა, რომელსაც აქვს შნოც, უნარიც, გაქანებაც, შესაძლებლობაც, ინტელექტიც და ჭკუაც, ამას დაუპირისპირდეს და ძვრა უყოს ნაცმოძრაობას, რომელიც ჩაბეტონებული იყო როგორც ფიზიკურად პოლიტიკაში, ისე ცნობიერად ჩვენს გონებაში, რომ მათი წაქცევა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ამ შეხედულების რყევა უკვე მოხდა, – განაცხადა სანიკიძემ.

გუბაზ სანიკიძე აცხადებს, რომ ივანიშვილის პოლიტიკაში ჩართვამდე არჩევნები აწყობდათ სააკაშვილსა და ხელისუფლებასთან თანამშრომლობაში მყოფ ოპოზიციას. სანიკიძე იქვე განმარტავს, რომ ოპოზიციის ამ ნაწილის მსგავსი დეფინიცია შეურაცხყოფას არ ნიშნავს და ამაზე ადრესატებს გულყრები ნუ დაემართებათ.

– ისინი პირდაპირ აცხადებდნენ, რომ თანამშრომლობაშია გამოსავალი. ჩვენ მიგვაჩნდა პირიქით, რომ თანამშრომლობა ჭაობია. ხელისუფლებასთან თანამშრომლობის პირველი პირობა იყო, თანხმობა არ მიგეცა, ის არასოდეს გამოიცვლებოდა. სამკაც-ნახევრით თუ ოთხი კაცით უნდა შეხვიდე პარლამენტში, ვითომ ფრაქცია შექმნა. ეს ამბავი უკვე აღარ არის აქტუალური. არჩევნები სააკაშვილს აღარ უნდა. სააკაშვილი ყველაფერს გააკეთებს, რომ არჩევნები არ შედგეს, რადგან გარანტირებულად წაგებული აქვს თუნდაც ამ საარჩევნო კანონით. ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური წონა, მასშტაბი იმდენად დიდია, რომ არჩევნების გაყალბება გარანტია არ არის, ის გაიმარჯვებს. ხელისუფლება პროცესების გამწვავებაზე უნდა წავიდეს. ის შეეცდება ქუჩის აქციების, რეპრესიების, ადამიანების შევიწროების პროვოცირებას. ეს აპრობირებული მექანიზმია. ისინი ოპოზიციის სააკაშვილის ველზე შეყვანას შეეცდებიან, – განაცხადა


გუბაზ სანიკიძე

გუბაზ სანიკიძემ.

სანიკიძე ამბობს, რომ ივანიშვილს თავის გარშემო განვითარებულ მოვლენებზე სწორი რეაქციები აქვს.

ფორუმის ერთ-ერთი ლიდერი აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილმა ოპოზიციაში სიმშვიდე და თავდაჯერებულობა შემოიტანა.

– მთავარია, სერიოზული შეცდომები არ იქნეს დაშვებული. იმედი მაქვს, ასეც იქნება. შეცდომებისგან არავინ არის დაზღვეული, მათ შორის, ბიძინა ივანიშვილიც. თუ სერიოზული შეცდომები არ იქნა დაშვებული, ჩათვალეთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლება მოღვაწეობას დაამთავრებს. გამოუსწორებელი იქნება სააკაშვილის ველზე შესვლა. ამ ვითარებაში არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, სააკაშვილის პროვოკაციებს ავყვეთ. ეს არის ნერვების ომი. პოლიტიკური პარტიზანული ომით უნდა ვებრძოლოთ სააკაშვილს, გენერალურ ბრძოლაში არ უნდა შევ-

**გაგრძელება მე-6 გვერდზე**

# ივანიშვილის ქველმოქმედება ხელისუფლებასთან კითხვებს აჩენს

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ამ ინფორმაციის ფონზე ჩნდება კითხვა – რა დანიშნულება ჰქონდა საქართველოს მთავრობას, ან სად მიდიოდა ის თანხები, რომლებიც ამ სამინისტროებს უნდა დაეხარჯათ იმაში, რაშიც ხარჯავდა ივანიშვილი? რა საჭიროა განათლების სამინისტრო, თუ სკოლები შეაკეთა ივანიშვილმა, კომპიუტერები იყიდა ივანიშვილმა, მასწავლებლებს ეხმარებოდა, აკადემიას და მეცნიერებას ინახავდა ივანიშვილი? რა საჭიროა კულტურის სამინისტრო თავის მინისტრიანად, თუ თითქმის ყველა ისტორიული ძეგლი ივანიშვილმა შეაკეთა, თუ ყველა ძირითადი კულტურული დაწესებულება ივანიშვილმა გაარემონტა და თან თვითონვე არჩენდა მოქმედ დასებს? რას აკეთებს ნიკა რურუა, როგორც მინისტრი? რაში იღებს ის ხელფასს ან სად მიდის მისი უწყებისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფული? რა საჭიროა სოფლის მეურნეობის სამინისტრო? ჯანდაცვის სამინისტრო? საერთოდ რას აკეთებდა ამ ხნის განმავლობაში საქართველოს მთავრობა? გზებს? ამას დავუმატოთ ვალად აღებული მილიარდები და დავუმატოთ დასავლეთის დახმარება ასევე მილიარდები, ეს კი ბიუჯეტს არ ეხება. ხოდა, სადაა ხალხისგან გადასახადებით, ჯარიმებით, საურავებით, საპროცესო შეთანხმებებით, სტრატეგიული ობიქტების გაყიდვიდან ამოღებული თანხებით, ტრანზიტით, საბაჟო მოსაკრებლებით ამოღებული ფული? ეს მუქთახორობა თაღლითობა და პარაზიტობა არაა, ამაზე ნაკლებისთვის ქვეყნის მეთაურებს კანალიზაციის მილებში უწევდათ დამალვა. სად არის ხალხის ფული?!

## მიხეილ სააკაშვილმა ჰიბრიდული სიმინდის პროგრამის წარუმატებლობა აღიარა

„თავისუფალი დემოკრატები“ მთავრობის სხდომას გამოეხმაურენ და ხელისუფლება სოფლის მეურნეობის მიმართ არაკომპეტენტურ მიდგომაში კიდევ ერთხელ დაადანაშაულეს. როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, დავით ონოფრიშვილმა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილმა ინიციატივით, რომ გლეხები ჰიბრიდული სიმინდის თესლის გადასახადისგან გათავისუფლდებიან, ფაქტიურად აღიარა, რომ ჰიბრიდული სიმინდის პროგრამა, მთელ რიგ რეგიონებში წარუმატებელი იყო, რის შედეგადაც ათასობით გლეხმა და წვრილმა ფერმერმა იზარალა. ონოფრიშვილმა მედიის წარმომადგენლებს შეახსენა, რომ ეს იყო ერთ-ერთი მოთხოვნა, როცა ირაკლი ალასანიამ და „თავისუფალმა დემოკრატებმა“ 23 სექტემბერს წერილობით მიმართეს მთავრობას და ასევე მოითხოვეს სოფლის მეურნეობის მინისტრის დაუყოვნებლივ გათავისუფლება თანამდებობიდან, რომელიც რამდენიმე დღის წინ განხორციელდა.

– ჩვენ დიდი ხანია ვეუბნებით და ვაკრიტიკებთ ხელისუფლებას, რომ თავი დაანებონ სინგაპურზე ფუჭ საუბარს და მის იდეალიზაციას. უმჯობესია, იმ პრობლემებს მიხედონ რაც მათი მმართველობის პერიოდში დაგროვდა საქართველოში და კონკრეტულად სოფლის მეურნეობაში, როცა ქვეყანა სურსათის იმპორტიორ ქვეყნად გადაიქცა და პრაქტიკულად დაკარგა სასურსათო დამოუკიდებლობა, – აღნიშნა მან.

ინტერპრესნიუსი

# სოსო ცინცაძე: „ივანიშვილი პოლიტიკოსად არ არის დაბადებული“

თამარ ნინიძე

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ სცენაზე გამოსვლის ეფექტი მისი მილიარდერობით არის გამოწვეული. არის თუ არა ივანიშვილი „კრემლის პროექტი“, ამაზე ვერსიებისა და ვარაუდების გამოთქმისგან თავს იკავებს. „ახალი თაობა“ სოსო ცინცაძეს ესაუბრა.**

***– მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით გიორგი თარგამაძემ გამოთქვა ვარაუდი, რომ ევროპასა და ამერიკას რუსეთის გაწევრიანება უფრო აინტერესებთ, ვიდრე სტრატეგიული პარტნიორის – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. როგორია თქვენი აზრი ამის თაობაზე?***

– ერთი რამ ფაქტია, რომ დღეს არც ევროპა, არც ამერიკა კომპრომისზე საქართველოს ინტერესების ხარჯზე არ წავლენ. ასეთი გადაწყვეტილება ვაშინგტონსა და ბრიუსელში რომ მიღებულიყო, რუსეთი დღეს უკვე იქნებოდა სავაჭრო ორგანიზაციის წევრი. რასაკვირველია, ევროპაც და ამერიკაც დაინტერესებული არიან, რომ რუსეთი გაწევრიანდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. რუსეთის ეკონომიკა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ეკონომიკაა, მაგრამ, მეორე მხრივ, თითქმის ერთი წელიწადია, საქართველოს პოზიცია საშუალებას არ აძლევს რუსეთს, გახდეს ამ ორგანიზაციის წევრი. საქართველოზე ძალისმიერი ზეწოლა რომ განხორციელებულიყო, ეს მოხდებოდა. ყოველი შეხვედრა უშედეგოა რუსეთსა და საქართველოს დელეგაციებს შორის. ეს იმაზე მეტყველებს, რომ არც ვაშინგტონი და არც ბრიუსელი არ აპირებენ საქართველოზე ზეგავლენის მოხდენას. სხვა საკითხია, ვის როგორ აინტერესებს რუსეთის წევრობა. ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ არა იმით, გუნებაში ვის რა აქვს, არამედ შედეგებით.

***– რა შეხების წერტილები და ინტერესთა თანხვედრა შეიძლება ჰქონდეთ საქართველოსა და რუსეთს, რათა მოლაპარაკებები შედეგიანი იყოს?***

– საქართველო თხოულობს მხოლოდ იმას, რაც წერია ამ ორგანიზაციის წესდებაში. რუსეთი თხოულობს, ორგანიზაციის წესდების დარღვევით გახდეს წევრი. რუსეთი თხოულობს მის მიმართ გამონაკლისის დაშვებას – ერთი წევრის თანხმობის გარეშე მიიღონ ის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. 11-12 დეკემბერს არის ამ მუშა ჯგუფის უკანასკნელი შეხვედრა. საბოლოო ჯამში, რუსეთი გახდება ამ ორგანიზაციის წევრი, მაგრამ რაღაც კომპრომისი გამოიძებნება. ამას ჯერ არ ახმოვანებს არც ერთი მხარე. როგორც ამბობენ, შვეიცარიის ხელისუფლებას აქვს რაღაც გეგმა, რომელიც აკმაყოფილებს როგორც საქართველოს, ისე რუსეთის მოთხოვნას. ეს მუშა ჯგუფის შეხვედრაზე გახდება ცნობილი.



სოსო ცინცაძე

***– როგოზინმა სიხარულით გვაუწყა, რომ რუსეთმა უკრაინისა და საქართველოს ნატოში გაწევრიანებას ხელი შეუშალა და ამაში პიროვნულად მისი წვლილი დიდია. როგორ შეაფასებთ მის ამ განცხადებას?***

– თავის გავლენას გადაჭარბებულად აფასებს, ერთ ჩინოვნიკს ამას არავინ ეკითხება. აქ გადამწყვეტი გერმანიისა და საფრანგეთის პოზიცია იყო.

***– როგორ აფასებთ ივანიშვილის პოლიტიკურ სცენაზე გამოჩენის პირველ ნაბიჯებს?***

– მე ვთვლი, რომ ბატონი ივანიშვილი პოლიტიკოსად არ არის დაბადებული. ის დაბადებულია ნიჭიერ ბიზნესმენად და ქველმოქმედად. ყველა ადამიანმა უნდა აკეთოს ის, რაც მას ყველაზე კარგად გამოსდის. როგორ გამოსდის მას პოლიტიკა, ჯერ ჩვენ არ ვიცით. მან გამოაცოცხლა ქართული საშინაო პოლიტიკა და ეს ფაქტია, მაგრამ ეს ივანიშვილის პოლიტიკურ წარმატებას არ უნდა დავუკავშიროთ. უცებ გამოჩნდა ძლიერი პოტენციური ძალა, პირველ რიგში – მატერიალური თვალსაზრისით. აბა, წარმოვიდგინოთ ერთი წუთით, ივანიშვილი რომ არ ყოფილიყო მილიარდერი, ამ გამოსვლას პოლიტიკურ ასპარეზზე ეფექტი ხომ არ ექნებოდა. შემდეგ რა მოჰყვება ამას, არ ვიცით. გარდა მოლოდინისა, პრაქტიკული არაფერი გაგვაჩნია.

***– საზოგადოებაში ერთგვარი გამყოფი ხაზები გააჩინა მისმა განცხადებებმა. ამაზე რას იტყვით?***

– ოპოზიციის შიგნით მოხდა პოლარიზაცია, მაგალითად, „რესპუბლიკელებსა“ და „ახლებს“ შორის, „რესპუბლიკელებსა“ და „ლეიბორისტებს“ შორის. ამ პარტიებს შორის წინააღმდეგობები შენიღბული იყო, ახლა კი ზედაპირზე ამოტივტივდა. ვერ გეტყვით, რით დამთავრდება მისი დავა მოქალაქეობის თაობაზე. სულ სხვა რეალობა იქნება, თუ ივანიშვილი გახდება საქართველოს მოქალაქე და ის შეძლებს პოლიტიკური პარტიის შექმნას, სულ სხვა რეალობა იქნება, თუ ივანიშვილი არ იქნება საქართველოს მოქალაქე. ორლესული მახვილია პოლიტიკაში იმედი და მოლოდინი, იმიტომ რომ მის გაცრუებას ყოველთვის თან სდევს ნიჰილიზმი და საზოგადოების გულგატეხილობა. სჯობია თავშეკავებული ზომიერება.

***– რამ აიძულა წარმატებული ბიზნესმენი ივანიშვილი, პოლიტიკაში გამოჩენილიყო?***

– ვერ გეტყვით, მე ინფორმაცია ამაზე არ გამაჩნია.

***– მას განიხილავენ, როგორც „კრემლის პროექტს“.***

– არ ვფლობ ასეთ ინფრომაციას. ამ ვერსიასაც აქვს არსებობის უფლება, თუმცა, შეიძლება იყოს სხვა ვერსიაც, რომ ეს მისი შინაგანი მოთხოვნილება და მოტივაციაა. ვინც ამტკიცებს, რომ ის „კრემლის პროექტია“, შეიძლება, აქვს ინფორმაცია, რაც რიგითმა მოკვდავებმა არ ვიცით. სჯობს, ასეთ რადიკალურ განცხადებებს ფრთხილად მოვეკიდოთ. ვცდილობ, ნეიტრალური ვიყო ამ შეფასებებში, მეცნიერული ობიექტურობა გამოვავლინო და არ ავყვე ემოციებს. ამიტომ, სანამ არ იქნება არგუმენტები, დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვი.

# საქართველო რუსეთის ვმოში შესვლას ველარ დაბლოკავს

შორენა გონგლაძე

**ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით ჟენევაში მიმდინარე მოლაპარაკებები, სავარაუდოდ, კვლავ კონკრეტული შედეგის გარეშე დამთავრდება. როგორც ითქვა, მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი ნოემბერში გაიმართება. რუსული დელეგაციის ხელმძღვანელ მაქსიმ მედვედკოვის განცხადებით, სამუშაო ჯგუფმა 10 ნოემბერს დაგეგმილი ბოლო ფორმალური სხდომის გადატანის შესახებ თბილისის მოთხოვნაზე უარი განაცხადა. ამიტომაც საქართველოს რუსეთი მოუწოდებს, ამ დრომდე დარჩენილი ფორმალური საკითხები მოაგვაროს.**

ქართული მხარის მოთხოვნა სეპარატისტული რეგიონების გასწვრივ საქართველოს საზღვარზე ტვირთბრუნვის საერთაშორისო მონიტორინგთან დაკავშირებით ძალაში რჩება, ქართულმა მხარემ ამასთან ერთად ახალი წინადადებები წარადგინა, რომლებიც საზღვრებზე საერთაშორისო მონიტორინგის ფორმას ეხება. როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, მოლაპარაკებებში პროგრესი რუსული მხარის კონსტრუქციულ პოზიციაზეა დამოკიდებული. ქართული მხარე, თავის მხრივ, იმედოვნებს, რომ მისი ახალი წინადადებები ამის საფუძველი გახდება.

უცხოური პრესით ვრცელდება ინფორმაცია, რომ ევროკავშირმა საქართველოს რუსეთის მსო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით ულტიმატუმი წაუყენა. თბილისში ვიზიტად მყოფი აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის საკითხებში ევროკომისიის სამმართველოს დირექტორი გუნარ ვიგანდი მაღალჩინოსან ქართველ ჩინოვნიკებს შეხვდა და პირდაპირ განუმარტა, რომ საქართველომ რუსეთის მსო-ში გაწევრიანებაზე თანხმობა მალე უნდა განაცხადოს. ვიგანდი ქართველებს დაემუქრა, რომ უარის შემთხვევაში ევროკავშირი მზად იქნება, რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში 15 დეკემბერს მინისტრების კონფერენციაზე ხმათა უმრავლესობით მიიღოს. ასეთ ვითარებაში რუსეთი მსო-ში საქართველოს თანხმობის გარეშე გაწევრიანდება, რაც თბილისისთვის სახის დაკარგვად იქცევა.

გამოცემა ლოომბერგ-ი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების საკითხზე მიმდინარე მოლაპარაკებებს ვრცელ სტატიას უძღვნის. როგორც გამოცემა წერს, რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანება სწორედ საქართველოს თანხმობაზეა დამოკიდებული. სტატიაში მოყვანილია აშშ-ის კონგრესის სპიკერ ჯონ ბონერის განცხადებაც, რომელიც რუსეთს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის შეწყვეტისაკენ მოუწოდებს.

„ჯონ ბონერი იმუქრება, რომ დაბლოკავს შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის სავაჭრო ურთიერთობების ნორმალიზებასთან დაკავშირებულ კანონპროექტს მოსკოვის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების ფარგლებში, სანამ მოსკოვი არ შეწყვეტს მეზობელი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას. ბონერმა პრეზიდენტ ობამას მოუწოდა, შეწყვიტოს რუსეთის უპატივცემულობის უგულებელყოფა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისადმი და განაცხადა, რომ საგანგაშო გზავნილებს იღებს იმის შესახებ, რომ აშშ არ აპირებს რუსეთზე ზეწოლას, რათა აიძულოს მოსკოვი, აღიაროს 2008 წლის ობამამდე არსებული საზღვრები საქართველოსთან“, – წერს გამოცემა. სტატიაში ასევე აღნიშნულია, რომ აშშ რუსეთს მსო-ში გაწევრიანების პროცესში ეხმარება.

მსო-ს გენერალურმა დირექტორმა პასკალ ლამიმ 21 ოქტომბერს განაცხადა, რომ ორგანიზაციის წევრებმა ბლოკადა საკუთარი სიამოვნებისთვის არ უნდა შეინარჩუნონ. ვარაუდობენ, რომ პასკალ ლამის ეს განცხადება საქართველოსკენ იყო მიმართული. ზოგიერთი დიპლომატის აზრით კი საქართველოს დარწმუნებას, რათა რუსეთის მსო-ში გაწევრიანება აღარ დაიბლოკოს, შეერთებული შტატები და რამდენიმე ევროპული ქვეყნის მთავრობები ცდილობენ, – წერს გამოცემა. სტატიაში აღნიშნულია ასევე ევროკავშირის სავაჭრო საკითხთა კომისრის, კარელ დე გიუჰტის მიერ გაკეთებული განცხადებაც, რომლის მიხედვითაც რუსეთის მსო-ში გაწევრიანების გზაზე მნიშვნელოვანი დაბრკოლება აღარ არსებობს. ყველა მხარეს იმედი აქვს, რომ დეკემბრისთვის დაგეგმილ მსოს-ს მინისტერიალზე შეთანხმება შედგა, რაც ერთგვარ საზეიმო ნოტად გაიჟღერებს, რადგან მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებების დროს რაუნდის მოლაპარაკებები იმედისმომცემი არ არის და მთელ მსოფლიოში პროტექციონიზმის ზრდის ნიშნები ჩნდება, – ნათქვამია სტატიაში.

უშუალოდ საქართველოს მკაფიო პოზიციასთან დაკავშირებით კი „ფაინენშელ თაიმსი“ წერს, რომ საქართველოს წინააღმდეგობა 2008 წლის რუსეთთან ომის შემდეგ ამ ქვეყნისადმი თბილისის უწყვეტი მტრული დამოკიდებულებიდან მოდის.

„შვეიცარიის ძალისხმევამ, რომელიც ამ დავის დარეგულირებაში შუამავლის როლს თამაშობდა, ჯერ არსებითი შედეგი ვერ გამოიღო. ევროპელი დიპლომატები შიშობენ, რომ შეთანხმების მიღწევისთვის პოლიტიკური იმპულსი შესაძლოა იმ ფაქტმაც შეასუსტოს, რომ მომავალ წელს ვლადიმირ პუტინი, სავარაუდოდ, პრეზიდენტად დაბრუნდება. პუტინს დიდი ხანია, რაც მსო-ს მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვს და მისი ინიციატივით ალტერნატიული რეგიონული საბაჟო კავშირი შეიქმნა, რომელშიც რუსეთთან ერთად ბელორუსი და ყაზახეთი გაერთიანდნენ“, – წერს გამოცემა.

საგულისხმოა ასევე ვაჭრობის საკითხებში ევროკომისარ კარლ დე გიუხტის მიერ 21 ოქტომბერს გაკეთებული განცხადება, რომელიც რუსეთის მსო-ში გაწევრიანებაზე მიღწეულ შეთანხმებებს ეხება. კარლ დე გიუხტმა თბილისსა და მოსკოვს მოუწოდა, ამასთან დაკავშირებული დავა მალე მოაგვარონ.




„ჩვენ მივაღწიეთ შეთანხმებას საბოლოო მოუგვარებელ ორმხრივ საკითხებზე, რითიც გზა გავუხსენით რუსეთის მსო-ში გაწევრიანებას წლის ბოლოსთვის. ახლა ძალიან ცოტა დრო რჩება საქართველოსა და რუსეთს შორის ორმხრივი შეთანხმების მისაღწევად. Mმოვუწოდებ ორივე მხარეს, განაგრძონ თავიანთი ძალისხმევა, რათა მიაღწიონ საკითხის მოგვარებას კომპრომისის გზით. ევროკავშირი მზად არის, ის დახმარება აღმოუჩინოს, რომელიც ამ საკითხის მოგვარებას სჭირდება“, – განაცხადა კარლ დე გიუხტმა.

ამავდროულად, რუსეთს იმედი აქვს, რომ მსო-ში გაწევრიანებას ქართული მხარის თანხმობის გარეშეც შეძლებს, ამის შესახებ განცხადება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა გაკეთა.

–თუ მსო-ს საწესდებო დოკუმენტაციით ვიხელმძღვანელებთ, საქართველოს პოზიცია დაბრკოლებას არ წარმოადგენს. არსებობს მეთოდები, რომლებიც გათვალისწინებულია მსო-ს საწესდებო დოკუმენტებით, რათა ჩვენი ვალდებულებები მსო-ს ყველა წევრის მიმართ, საქართველოზე არ ვრცელდებოდეს.–განაცხადა ლავროვმა.

ლავროვის აზრს არ იზიარებს ამერიკის შეერთებული შტატები. Aმის პასუხად, აშშ-ს ოფიციალურმა პირებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ ვაშიგტონი არ ემხრობა ამ საკითხის კენჭისყრით გადაწყვეტას და ორივე მხარეს მოუწოდებს მოლაპარაკებების გზით მიაღწიონ შეთანხმებას.

ანალოგიურ განცხადებას აკეთებს თეთრი სახლის მთავარი მრჩეველი რუსეთის პოლიტიკის საკითხებში მაიკლ მაკფოლი, მისი განცხადებით, რუსეთისათვის საქართველოს გვერდის ავლით მსო-ში გაწევრიანებაზე არანაირი შანსი არ აქვს.

# არ შეიძლება, თავდაცვის ბიუჯეტი მეტი იყოს, ვიდრე ჯანდაცვის!

## 2012 წლის ბიუჯეტი კრიტიკას ვერ უძლებს

**პარლამენტში იმ დღეს ნაციონალებსა და ქდმ-ს ერთმანეთი შემოეკრიტიკათ. გიორგი თარგამაძემ ქდმ-ს დამსახურებად მიიჩნია, მთავრობამ ბიუჯეტის პროექტი რომ უკან გაიწვია. ამის გამო ზურაბ მელიქიშვილმა თავი გაინერვიულა. მან ქდმ-ს ლიდერის პოლიტიკური ცოდნა დაუწუნა და განაცხადა, რომ ბიუჯეტის პროექტის უკან გაწვევა ჩვეულებრივი ამბავია.**

თეა მარხვაიძე

პროექტის უკან გაწვევას ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევს თამარ ცინცაბაძეც. „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ წარმომადგენელი აღშფოთებას გამოთქვამს ბიუჯეტის პროექტის გამო. მისი თქმით, ეს ბიუჯეტი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე არ არის გათვლილი. რატომ არ არის ეს ბიუჯეტი მისაღები, ამის შესახებ ცინცაბაძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**თამარ ცინცაბაძე:**

– 2012 წლის ბიუჯეტის პროექტი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ეს პროექტი არ ასახავს იმ მდგომარეობას, რომელშიც დღეს ჩვენი ქვეყანაა. საქართველოს მოსახლეობის 40% მიიჩნევს, რომ ის უმწეო მდგომარეობაშია. დასაქმების პრობლემა ძალიან მწვავედ დგას. საშინელი ვითარებაა ჯანდაცვის კუთხითაც. მოსახლეობის დიდი ნაწილი თავს უბედურად თვლის. ამის საბაბი მათ ნამდვილად აქვთ, რადგანაც ვერ იკვებებიან ნორმალურად, შვილებს ვერ უზრუნველყოფენ. ამ ფონზე შემოდის ბიუჯეტი, სადაც ჯანდაცვას 5%-ზე ცოტა უფრო მეტი აქვს. გაცილებით ნაკლებია გამოყოფილი განათლებასა და ჯანდაცვაზე, ვიდრე შსს-ზე. ბიუჯეტი საზოგადოების მოთხოვნებთან უნდა იყოს შესაბამისობაში.

***– ხელისუფლება ამბობს, რომ შესაბამისობაშია. ისინი ამ ბიუჯეტით ამაყობენ კიდეც.***

– ხელისუფლება სხვას რას იტყვის. რეალობა კი სულ სხვაა. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სამედიცინო მომსახურებით ვერ სარგებლობს. ხალხისთვის სიკეთე თუ სურდათ, ჯანდაცვისთვის ცოტა მეტი სახსრები უნდა გამოეყოთ. ჩვენ ხელისუფლებას არ ვთხოვთ, გაზარდოს ბიუჯეტი და ასე დააფინანსოს ჯანდაცვა. ჩვენ არსებული თანხების სწორად გადანაწილებას ვითხოვთ. ხელისუფლება კი არასწორად ახდენს თანხების გადანაწილებას. ამის გარდა, არც გადანაწილებული თანხების მართვა ხდება სწორად.

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ თუნდაც ჯანდაცვისთვის გამოყოფილი თანხები არასწორად იფლანგება.

***– ზემოთ ყურადღება იმაზე გაამახვილეთ, რომ შსს-ზე გაცილებით მეტი თანხებია გამოყოფილი. ამას სხვა ოპოზიციონერებიც აპროტესტებენ. რატომ აპროტესტებთ ამ ფაქტს და რატომ ცდილობს ხელისუფლება ძალოვნების დაფინანსებას უფრო მეტად?***

– ჩვენ არ ვამბობთ, რომ ჯარსა და პოლიციას კარგი დაფინანსება არ სჭირდება. ჩვენ გვინდა, ჯანდაცვაზე მეტი თანხები დაიხარჯოს. ეს პოლიციური ქვეყანაა და ამიტომაც ფინანსდება ეს უწყება კარგად.

***– თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ძალოვნების დაფინანსება შემცირდა.***

– შემცირდა. 2008 წლამდე ათჯერ მეტი თანხები ხმარდებოდა თავდაცვას. თუმცა, მაინც დიდი სხვაობაა. არც ერთ ევროპულ ქვეყანაში ასე არ ხდება. ჯანდაცვისა და თავდაცვის დაფინანსებაში ასეთი სხვაობა არსად არ არის. მთელი უბედურება ისაა, რომ თავდაცვაზე დახარჯული უამრავი ფული 2008 წლის



თამარ ცინცაბაძე

ომის დროს რამდენიმე დღეში დაიკარგა.

***– თქვენი აზრით, უკან გაწვეულ ბიუჯეტის პროექტს სერიოზულად შეცვლიან? არის ვარაუდი, რომ ივანიშვილის ფაქტორის გამო ცვლილებები იქნება.***

– ივანიშვილის გამოჩენამ ხელისუფლება ძალიან შეაშფოთა. არ ვამბობ, რომ ხელისუფლება საღ აზრზე დადგება. ის არ გაითვალისწინებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც ხალხს აქვს. ხელისუფლებას იმიტომ ვირჩევთ, რომ მან ხალხის კეთილდღეობასა და უსაფრთხოებაზე იზრუნოს. ეს ხელისუფლება არც ერთზე ზრუნავს და არც მეორეზე. არც ახლა აპირებს ამის გაკეთებას.

***– თუმცა, მოდით, დაველოდოთ, იქნებ მართლა შეცვალონ რამე.***

– რაღაც ცვლილებებს შეიტანენ, მაგრამ ეს იქნება უმნიშვნელო და ქვეყანას სიკეთეს ვერ მოუტანს. ისინი ხალხის მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ. ამაზე ამ ზაფხულს მიღებული გადაწყვეტილებებიც ნათლად მეტყველებს. რამდენიმე თვის წინ მათ ძალიან ბევრი არაპოპულარული გადაწყვეტილება მიიღეს. ხალხზე რომ ეზრუნათ, ასე არ მოიქცეოდნენ.

# გუბაზ სანიკიძე: „სააკაშვილის ერთადერთი გამოსავალი არჩევნების დანიშვნაა“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ყვეთ მას არჩევნებამდე. სააკაშვილს ახლა ფიზიკური დაპირისპირება აწყობს. ბატონ ბიძინას ნერვული სისტემა მოწესრიგებული აქვს. ის არ არის მჩატე ადამიანი. მაღალი ალბათობაა, რომ ნერვების ომში სააკაშვილი დამარცხდეს. სააკაშვილი და ივანიშვილი აბსოლუტურად ერთმანეთის ანტიპოდები არიან. ძალიან საინტერესო მოვლენების მოწმეები ვიქნებით. მთავარი არ ვიცით, როდის იქნება არჩევნები? დანამდვილებით ვიცით, რომ შემოდგომას არ გადასცდება. რა მოუვა თავში სააკაშვილს, არ ვიცით. ამიტომ მზაობა უნდა იყოს. მანამდე ბევრი რამ არის გასაკეთებელი ოპოზიციაში, – აცხადებს სანიკიძე.

ეროვნული ფორუმის ერთ-ერთი ლიდერი სააკაშვილის არჩევნებზე საუბრობს. ეს არჩევანი, მისი თქმით, არის არჩევნების დანიშვნა ახლავე ან პირიქით.

სანიკიძე ამბობს, რომ ივანიშვილი სააკაშვილს ასით ნულს უგებს, თანაც ისე, რომ ამისთვის მას არაფერი უღონია.

– მოქალაქეობის საკითხი, „ქართუ ჯგუფის“ საკითხი – ორივე წარუმატებლად დასრულდა მორალურად. იურიდული საკითხი ჯერ კიდევ წინ არის. ერთ-ერთი შეცდომა იყო დაცვის განიარაღება. მშვიდად და თვითდაჯერებულად რომ არის ივანიშვილი, ფაქტია, სააკაშვილი კი ტანსაცმლიდან არის ამოვარდნილი. ჭკვიანური განცხადებებით ის არასდროს გამოირჩეოდა, მაგრამ ახლა საერთოდ ამხედრებულია სისულელეებზე. 10 დღის წინ გვეუბნებოდა, რომ ქართულმა ღვინომ წალეკა მსოფლიო ბაზარი და ორი დღის წინ „სამტრესტის დირექტორი“ მოხსნა. ახლა გადაწყვიტა, რომ თურმე არ შეიძლება, ასაკოვანი ხალხი ამოაგდო ქვეყნის ცხოვრებიდან. ფაქტია, სააკაშვილი ივანიშვილის გამოჩენით დარეტიანებულია. ეს რეტი რამდენხნიანი იქნება, ვერ გეტყვით. ნაციონალურმა მოძრაობამ ისეთი ზღვარი გადალახა, კარგიც რომ უნდოდეთ, ისიც აღარ გამოუვათ. მოვლენები საინტერესო და სახიფათო იქნება. მინდა, ყველა გავაფრთხილო, მით უმეტეს, როდესაც უპასუხისმგებლო ოპონენტთან გაქვს საქმე, პასუხისმგებლობა ერთიორად იზრდება. ჭკვიანმა შეცდომები არ უნდა დაუშვას, მით უმეტეს, თუ იცის, რომ მეორე მხარეს სულელია. ამიტომ ოპოზიციას ორმაგი პასუხისმგებლობა მართებს, – ამბობს სანიკიძე.

სანიკიძის აზრით, ყველა ხელისუფლება, თუ ეროვნულ საკითხს არ გაითვალისწინებს, კრახს განიცდის.

ეროვნული ფორუმი კი ამ საკითხის გადაწყვეტის მომხრე და ერთგული იქნება.



## „სახალხო კრება“ დიპკორპუსს მხარდამჭერთა ტერორის ფაქტებზე რეაგირებისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდებს

„სახალხო კრება“ საქართველოში აკრედირებულ დიპლომატიურ კორპუსს და ადამიანის უფლებადამცველ ორგანიზაციებს კრების მხარდამჭერთა მიმართ ხელისუფლების მიერ განხორციელებული ტერორის ფაქტებზე რეაგირებისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდებს.

როგორც „პირველს“ სახალხო კრებიდან აცნობეს, დღეის მდგომარეობით, სხვადასხვა ბრალდებით „სახალხო კრების“ 40-მდე მხარდამჭერია დაპატიმრებული, რომელთაგან 22-ს სასამართლომ თავისუფლების აღმკვეთი ღონისძიებები უკვე შეუფარდა, ხოლო დანარჩენები განაჩენის მოლოდინში არიან.

– 24 ოქტომბერს სასამართლომ სახალხო კრების“ ერთ-ერთ აქტივისტს ზურაბ ხუციშვილს ვითომდა ნარკოტიკების შეძენა-შენახვის ბრალდებით თავისუფლების 8 წლით აღკვეთა მიუსაჯა. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება მისთვის აპრობირებული ტერორისტული მეთოდებით ებრძვის „სახალხო კრებას“, რაც მის მხარდამჭერთა მასობრივ დაპატიმრებებში და კრების ქონების ჩამორთმევაში გამოიხატება, კრება მის მიერ გამოცხადებული პრინციპების რეალიზაციას აუცილებლად განახორციელებს და ქვეყანაში დემოკრატიული ცვლილებები უცილებლად განხორციელდება, – ნათქვამია გამცხადებაში.

**პირველი**

## პავლე კუბლაშვილი: „არჩევნების ბიომეტრიული პასპორტებით ჩატარება მხოლოდ ფინანსურ პრობლემებს არ უკავშირდება“



საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილის განცხადებით, არჩევნების ბიომეტრიული პასპორტებით ჩატარება არა მხოლოდ ფინანსურ, არამედ ტექნიკურ საკითხებსაც უკავშირდება.

ჟურნალისტებთან საუბრისას დეპუტატი ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის განცხადებას გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც, იგი მომავალი არჩევნების ბიომეტრიული პასპორტებით ჩატარების დასაფინანსებლად მზად არის.

კუბლაშვილის განცხადებით, ბიომეტრიული პირადობის მოწმობების გაცემის პროცესი უკვე დაწყებულია და ვენეციის კომისიის შეფასებაშიც აღნიშნულია, რომ ამ პრობლემის მოგვარება მომდევნო საპარლამენტო არჩევნებისთვის ვერ მოხერხდება.

მისი განმარტებით, ბიომეტრიული პირადობის მოწმობებით არჩევნების ჩატარება არა მხოლოდ ფინანსურ, არამედ ბევრ ტექნიკურ საკითხთან არის დაკავშირებული. ამ საკითხების გადაუჭრელობის შემთხვევაში კი, კენჭისყრის დღეს შესაძლოა, ყველა უბანზე იყოს 20-30 ადამიანი, რომელიც არჩევნებში მონაწილეობას ვერ შეძლებს, რაც არჩევნების შედეგების ლეგიტიმურობას ეჭვქვეშ დააყენებს.

**მედიანიუსი**

## ბაღდათის რაიონში პოლიციის ახალი შენობა გაიხსნა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბაღდათის რაიონში პოლიციის ახალი შენობა გახსნა.

შენობის გახსნას ესწრებოდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, იმერეთის რეგიონის გუბერნატორი ლაშა მაქაცარია და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე.

ბაღდათის რაიონული პოლიციის სამმართველოს ორ სართულიან ახალ შენობაში პოლიციის 27 თანამშრომელი იმუშავებს. აღნიშნული პოლიციის სამმართველო მოემსახურება ბაღდათის რაიონის ყველა სოფელს: საკრაულა, ზეგანი, ხანი, დიმი, პირველი ოფჩა, მეორე ოფჩა, მერგეეთი, ფერსათი, წითელხევი, რუხი, ვარციხე, დიდველა.

აღნიშნული შენობა მსგავსად სხვა განყოფილებებისა, აღჭურვილია უახლესი ტექნიკით და გამჭირვალეა.2010-2011 წლის განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში პოლიციის 64 ახალი შენობა გახსნა და აამოქმედა. ამ დროისთვის იმერეთის რეგიონში პოლიციის ცხრამეტი ახალი შენობა მოქმედებს, რომლებიც აღჭურვილია უახლესი კომპიუტერული ტექნიკით და არის გამჭირვალე.

**ინტერპრესნიუსი**

# 53 სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები დირექტორს უჩივიან

გულიკო ბალაძე

**ბოლო პერიოდში საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა თბილისის 53–ე სკოლაში მომხდარი ინციდენტი. სკოლის დირექტორმა ტარას შავშიშვილმა სკოლის რამდენიმე მოსწავლე სკოლიდან გარიცხა და შს ორგანოებს მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოსთხოვა.**

მოსწავლეების სკოლიდან გარიცხვასა და, მით უმეტეს, მათ მიმართ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას თვით კომუნისტებიც კი ერიდებოდნენ. პოლიცია სკოლაში განსაკუთრებულ შემთხვევებში თუ ჩნდებოდა. მე მხოლოდ ერთხელ მახსოვს, პოლიცია სკოლაში რომ მოვიდა. ისიც არავის გაუგია, რასთან დაკავშირებით იმყოფებოდა და რის გაგება სურდა. ახლა პოლიციელები, ფაქტობრივად, სკოლაში ჰყავთ შესახლებული და სასწავლო პროცესშიც ერევიან. ამდენად, ახლანდელი ახალგაზრდების ცნობიერებაში პოლიციური რეჟიმისა და შესაბამისი ადმინისტრირების კვალი აღიბეჭდება.

ამას რომ თავი დავანებოთ, ლოტოტრონით დირექტორების დანიშვნებმა ჭირი კი მოჭამა, მაგრამ სკოლაში, როგორც ჩანს, მაინც იგზავნებიან ისეთი პირები, რომლებსაც სასჯელაღსრულების დაწესებულება ჰგონიათ და არა აღმზრდელობითი.

53-ე საჯარო სკოლაში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით შსს ძველი თბილისის განყოფილების გამომძიებლის ნინო ლაზაშვილის წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე და გამოძიება დაწყებულია არასრულწლოვანთა, კერძოდ კი, 53-ე საჯარო სკოლის მოსწავლეთა, ირაკლი მჭედლიშვილისა და მიხეილ ალექსიძის მიმართ სკოლის დირექტორის ტარას შავშიშვილის განცხადების საფუძველზე. ზედამხედველი პროკურორი გახლავთ გიორგი შაფათავა.

ჯერ არავინ იცის, როგორ დასრულდება ეს გახმაურებული საქმე, მაგრამ ბატალიები კიდევ გრძელდება, რადგან გარიცხული მოსწავლეები სკოლის კედლების გარეთ აღმოჩნდნენ და სწავლის გაგრძელება ვერც ერთ სკოლაში ვერ ხერხდება. რა გახდა არასრულწლოვანთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მიზეზი? ამის შესახებ გიორგი ალექსიძის დედამ ისაუბრა, მოძრაობა „გადაარჩინე სიცოცხლის“ ოფისში იმყოფებოდა საზოგადოების ერთი ნაწილი და ამ საქმესთან დაკავშირებით მათ მხარდაჭერა და დახმარება სთხოვა.

როგორც მიხეილ ალექსიძის დედამ განაცხადა, ტარას შავშიშვილმა, რომელიც ორი კვირის წინ დაინიშნა 53-ე სკოლის დირექტორად, კრებაზე განაცხადა, რომ მაქსიმალურად მკაცრი და რადიკალური იქნებოდა მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიმართ.

**მიხეილ ალექსიძის დედის თქმით:**

– ორი კვირის განმავლობაში ტარას შავშიშვილმა სკოლიდან ძალიან ბევრი მასწავლებელი გააგდო. მათგან ზოგი ვითომდა მექრთამეობის ბრალდებით (ექსკურსიის სურათების ფული მიუტანა მშობელმა ინგლისურის მასწავლებელს მაკა ხუნდაძეს). გარიცხა სამი ბავშვი. აქედან ორზე აღძრეს სისხლის სამართლის საქმე. მათ შორისაა ჩემი შვილი მიხეილ ალექსიძე. ინციდენტი დაიწყო იმით, რომ 12 ოქტომბერს გარიცხა მე-12 კლასელი მოსწავლე კიკვაძე, ქუდი რატომ გაფარიაო.. მშობლებს უთხრა, საბუთები სხვა სკოლაში გადაიტანეთო და ისინიც დათანხმდნენ. ჩემიAშვილი არის მე-11 კლასში. 13 ოქტომბერს, როცა სასწავლო პროცესი მთავრდებოდა, ჩვენი ერთი მოსწავლე ირაკლი მჭედლიშვილი რაღაც ლაპარაკის გამო მასწავლებელმა დერეფანში გამოუშვა. დაუნახავს ახლად მოხულ სასწავლო ნაწილს თუ მისი დაცვის უფროსს (როგორც გავიგე, ჩვენს დირექტორს პირადი დაცვა ჰყოლია იგორი) იგორის. იგორმა ჩაიყვანა მჭედლიშვილი დირექტორთან და უთხრა, თქვენ იცნობთ კიკვაძეს, გუშინ რომ გაუშვით სკოლიდანო? ბავშვმა უთხრა, არა, არ ვიცნობო. ისიც შენნაირი ძველბიჭური ჟარგონებით მოლაპარაკე არისო და შენც მას მიყვებიო. ეს ბავშვიც გააგდო სკოლიდან. მჭედლიშვილი ავიდა კლასში. როდესაც მან კლასელებს უთხრა, დირექტორმა სკოლიდან გამაგდოო, ბიჭებმა მოილაპარაკეს, მოდით, ჩავიდეთ დირექტორთან და ვთხოვოთ, იქნებ ბავშვი შეიწყალოსო. მეგობრები ყველა ერთად დირექტორთან წავიდნენ. დირექტორმა ბავშვები დერეფანში რომ დაინახა, იკითხა, ვის რა პრეტენზია გაქვთ, აქ რატომ დგახართო. ჩემმა შვილმა უთხრა, მე მაქვს პრეტენზიაო. ამდენ ბავშვში ამოარჩია მიხეილ ალექსიძე და შეიყვანა. ეკითხება, რაშია საქმე. ჩემმა შვილმა უთხრა, ძალიან გთხოვთ, მჭედლიშვილს ხუთი სკოლა აქვს გამოცვლილი, რაღაც პრობლემები ჰქონია, იქნებ ადამიანური მეთოდებით გემოქმედათ და ასე უცებ არ გააგდოთ სკოლიდან, ბავშვი ცოდვაა, შეიწყალეთ, ამის შემდეგ ხკოლაში ვინ მიიღებსო. დირექტორმა უთხრა, მე შენთვის ლაპარაკის უფლება არ მომიციაო. ამაზე მიხეილ ალექსიძემ უპასუხა, რატომ არ მაძლევთ სიტყვის უფლებას, მე გამოვხატე ჩემი მეგობრის თანადგომაო. ამაზე დირექტორმა უთხრა, შენც




გარიცხული ხარ სკოლიდანო.

დამრიგებელმა დამირეკა. სანამ დირექტორის კაბინეტამდე მივიდოდი, კიბეებზე მანდატურები შემხვდნენ და ვკითხე, რა დააშავა მიხეილმა, რა მოხდა-მეთქი. მეუბნებიან, ქალბატონო, ნუ ნერვიულობთ, თქვენ არაჩვეულებრივად გაზრდილი შვილი გყავთ, უბრალოდ, გაუგებრობაში მოჰყვა, მეგობრის გამო შევიდა დირექტორთან და, ალბათ, ყველაფერი გაირკვევაო. ის მანდატური დირექტორმა მეორე დღეს მოხსნა.

***– სკოლის დირექტორს მანდატურის მოხსნის უფლება აქვს?***

– არ ვიცი. ვიცი, რომ ის მანდატური ნამდვილად გათავისუფლებულია. დერეფანში იდგნენ კლასის დამრიგებელი და მანდატურები, რომლებიც დირექტორმა კაბინეტში არ შემოუშვა. მხოლოდ მე შევედი. ვკითხე, ჩემმა შვილმა რა დააშავა-მეთქი. მიპასუხა, თქვენმა შვილმა მომაყენა შეურაცხყოფა პირადად მე და ადმინისტრაციას. ამიტომ გაძლევთ ორ არჩევანს – ან ბავშვს წაიყვანთ ჩუმად, საბუთებს გაგატანთ და გადაიყვანთ სხვა სკოლაში, ან სისხლის სამართლის საქმეს აღვძრავო. სანამ მივიდოდი, დირექტორს, ბავშვები დერეფანში ერთად ჩამოსული რომ დაუნახავს, პატრული გამოუძახებია – მაღალი კლასია და რამე ინციდენტი არ მოხდესო. ამ დროს აბსოლუტურად მშვიდი გარემო იყო, ბავშვები ემზადებოდნენ დირექტორთან შესასვლელად. მე რომ შევედი (პატრული გამოვიდა იქიდან), მითხრა, თქვენმა შვილმა მომაყენა შეურაცხყოფა, თუ არ გადაიტანთ, სისხლის სამართლის საქმეს აღვძრავო. მე, რა თქმა უნდა, ავღელდი და ვკითხე, რა ფაქტი იყო, კონკრეტულად ამიხსენით-მეთქი. თქვენთან დისკუსიას აღარ ვაპირებ, გამოვიძახებ ახლავე პატრულს და ნახავთ, თქვენს შვილს რა დაემუქრებაო. მე ავღელდი და დირექტორს ხმამაღალი ლაპარაკის ტონით მივმართე, შენ ხარ ანტიქრისტე, რა უფლება გაქვს, ასე გააგდოთ ჩემი შვილი სკოლიდან. სკოლაში არის პედსაბჭო, სამეთვალყურეო საბჭო, ადმინისტრაციული კომიტეტი. მათი გადაწყვეტილების შემდეგ უნდა მიიღოთ გადაწყვეტილება, ასე ერთპირვნულად რატომ წყვეტთ ბავშვის ბედს. ბავშვი სად წავიყვანო-მეთქი. შემდეგ მან გამოიძახა პატრული.

***– ანტიქრისტე უწოდეთ?***

– რასაკვრევლია. მე ეს ტელევიზიითაც ვთქვი, ის არ არის ადამიანი, ის არის პრეზიდენტის პირველი მტერი. მის რეფორმებს კი არ ასრულებს, არამედ საწინააღმდეგო ქმედებას სჩადის. გამოიძახა პატრული და დააფიქსირა, რომ ჩემი შვილი შეუვარდა. მე რომ ავნერვიულდი, ჩემი შვილი მომეხვია და მითხრა, დედა, ნუ ნერვიულობო (მე ვარ შაქრიანი დიაბეტით დაავადებული და ძალიან ავღელდი) და დირექტორს მიუბრუნდა, რა დაგიშავეთ ასეთი, ამ დღეში რატომ ჩამიგდე დედაო. შემდეგ მე ვუთხარი, რომ ამ ინციდენტს აუცილებლად მივიტანდი განათლების მინისტრამდე და პრეზიდენტამდე. მათ გავაგებინებ, როგორი „რეფორმებით“ შემოხვედი-მეთქი. კრებაზე მან 5 წუთი ალაპარაკა განათლებაზე, ხოლო 2 საათი – იმ მკაცრ რეჟიმზე, რაც უნდა განახორციელოს სკოლაში. როგორც თვითონ აცხადებს, ის სკოლაში მოიყვანა შაშკინმა, მისი უახლოესი მეგობარია. მათ აქვთ პროგრამა, სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს რამდენიმე ბავშვი, რომ სხვებისთვის ეს იყოს მაგალითი. ამ სამაგალითოდ დასასჯელთა სიაში მოხვდა ჩემი შვილი მიხეილ ალექსიძე. მან განახორციელა ანტისახელმწიფოებრივი ქმედება, მინდა მივმართო ბატონ პრეზიდენტს – უმორჩილესად გთხოვთ, ბატონო პრეზიდენტო, ერთ მხარეს თუ მოუსმინეთ, მე გთხოვთ, დაკითხოთ მისი მეგობრები, იქ ვინც იყვნენ, არსებობს ვიდეოთვალი, ამოიღონ ერთი კადრი მაინც, სადაც მან დირექტორს შეურაცხყოფა მიაყენა. მე მივმართე სხვადასხვა ინსტანციებს, მათ შორის პარლამენტის თავმჯდომარეს დავით ბაქრაძეს, რომელმაც ამ ინციდენტის შემდეგ დემონსტრაციულად თავისი შვილები სკოლიდან გაიყვანა. მივმართე ასევე განათლების სამინისტროს, მაგრამ პასუხი არსაიდან არ მიმიღია. ამ ინციდენტის მეორე დღეს მიხეილის მეგობრებმა გამოხატეს პროტესტი, რასაც მოჰყვა ჩემდამი მუქარები.

53-ე სკოლაში დატრიალებულ ამბებთან დაკავშირებით ამავე სკოლის მშობლებმა და მოსწავლეებმა განცხადებით მიმართეს

საქართველოს მთავარ პროკურორს მურთაზ ზოდელავას, საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარეს დავით ბაქრაძეს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრს დიმიტრი შაშკინს.

განცხადებაში ნათქვამია, რომ 53-ე საჯარო სკოლის დირექტორმა ტარას შავშიშვილმა გამოძიების წინაშე სრულიად არაობიექტური სურათი წარმაოდგინა. „განხორციელდა ცრუ დასმენის ფაქტი, რაც ამაზრზენი და შეურაცხმყოფელია არა მხოლოდ საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისა და მოსწავლეებისთვის, არამედ მთელი საზოგადოებისთვის.

– ორიოდე კვირაა, რაც 53-ე საჯაროს სკოლის დირექტორად ბატონი ტატო შავშიშვილი დაინიშნა. მოვალეობათა „შესრულების პირველივე დღიდან ის შეუდგა პედაგოგთა კოლექტივისა და მოსწავლეთა დაშინებას, მუქარას (სხვადასხვა სანქციებითა და სკოლიდან გაგდებით), შანტაჟს. ყველაფერი დაიწყო 2011 წლის 6 ოქტომბერს მის მიერ მოწვეულ გაფართოებულ კრებაზე, სადაც ახალმა დირექტორმა თითის დაქნევით მიმართა პედაგოგებსა და მშობლებს, განმარტა, რომ ის იქნებოდა მაქსიმალურად მკაცრი ყველას მიმართ, გამოიყენებდა სანქციათა მაქსიმალურ ზომებს სულ უმნიშვნელო დისციპლინარული გადაცდომისთვისაც კი და მათ, ვინც გაბედავდა პროტესტის გამოხატვას, სკოლიდან გაუშვებდა ისეთი „იარლიყით“, რომ მას აღარც ერთი სასწავლო დაწესებულება აღარ მიიღებდა. ამით მან თავიდანვე შემოიტანა სასწავლებელში უკიდურესად უარყოფითი მუხტი და შექმნა საშინლად დაძაბული ატმოსფერო. მან გალანძღა ყველა მისი წინამორბედი კოლეგა (მათ უდისციპლინო და მექრთამე უწოდა), მოასწრო რა კრების მოწვევამდე რადენიმე ღირსეული და დამსახურებული პედაგოგის გათავისუფლება, თანაც ისე, რომ ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ მყოფმა, დათრგუნულმა პედაგოგებმა განცხადება თავად დაწერეს „თანამდებობიდან გათავისუფების“ შესახებ.

პედაგოგები და მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ კოშმარული ორი კვირის განმავლობაში, როცა მთელი პედაგოგიური კოლექტივი და მოსწავლეები ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ იყვნენ (ახლაც ზეწოლის ქვეშ იმყოფებიან), დირექტორმა სკოლიდან ორი მიოსწავლე გარიცხა. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ყოველგვარი სამართლებრივი პროცედურების გარეშე.

– სკოლის დირექტორმა მოსწავლეები გარიცხა არა პირდაპირ, რაიმე სახის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, არამედ მუქარისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის საფუძველზე შანტაჟის მეშვეობით, გამოუცხადა მათ, სკოლიდან საბუთები დაუყოვნებლივ გაეტანათ.

ირაკლი მჭედლიშვილისა და მიხეილ ალექსიძის გარიცხვის მიზეზი გახდა სრულიად უსაფუძვლოდ გაღიზიანებული დირექტორის მხრიდან მათდამი უცენზური და შეურაცხმყოფელ გამოთქმებზე („გიბრძანებ, შე ძველო ბიჭო“) მოსწავლეთა მარტივი პასუხი, – „რატომ მომმართავთ ჟარგონით?“ აი, ასეთი უწყინარი პასუხი ვერ აპატია ტატო შავშიშვილმა მოსწავლეებს და უსამართლოდ და ყოვლად უსაფუძვლოდ გარიცხული ერთი მათგანის ირაკლი მჭედლიშვილის გამოსარჩლების გამო, მეორეც დასაჯა. მათ გარიცხვა არ აკმარა, პატრულიც გამოიძახა და ამ ორი მოსწავლის მიმართ გამოძიების დაწყება მოითხოვა, თითქოსდა მათ მიერ „ჩადენილი“ ჯგუფური ხულიგნობის ფაქტზე, – აცხადებენ მასწავლებლები და მოსწავლეები.

მასწავლებლებისა და მოსწავლეების განცხადებით, სკოლიდან გარიცხული მოსწავლეები ირაკლი მჭედლიშვილი და მიხეილ ალექსიძე უაღრესად მოწესრიგებული, კეთილშობილი და მაღალი ზნეობის ახალგაზრდები არიან. მათ უბრალოდ გაუჩნდათ სამართლიანი პროტესტის განცდა დირექტორის თვითნებობის მიმართ, რაც ნამდვილად კორექტულად გამოხატეს., არ ჩაედენიათ არანაირი ხულიგნობა.

– ჩვენ ვართ მოწმენი დირექტორის პროვოკაციისა, მის მიერ ხელოვნურად გამოწვეული ინციდენტისა. შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ ამ მოსწავლეებს არანაირი შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ არც დირექტორისა და არც საჯარო მოხელისთვის, გინებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. პირიქით კი, დაითმინეს მუქარა, ფსიქოლოგიური ზეწოლა და შანტაჟი, წერენ ისინი საქართველოს მთავარ პროკურორს.

აღნიშნული განცხადებით, 53-ე სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები ქვეყნის მთავარ პროკურორს მიმართავენ, სთხოვენ განიხილოს მათი განცხადება და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს გამოძიების შევსება თითოეული მათგანის, თვითმხილველების ჩვენებებით და უზრუნველყოს აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა. ამასთანავე ისინი მოითხოვენ გამოძიების დაწყებას თბილისის 53-ე საჯარო სკოლის დირექტორის ტატო შავშიშვილის მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების არაერთგზის გადამეტების, თვითნებობისა და ცრუ დასმენის ფაქტებზე.

# მაკიაველის „მანდრაგორა“ ახმეტელის თეატრში

ეკა ირემაშვილი


მალხაზ ასლამაზიშვილი

30 ოქტომბერს ახმეტელის თეატრში პრემიერაა. რეჟისორი მალხაზ ასლამაზიშვილი თეატრში მისულ საზოგადოებას შესთავაზებს ნიკოლო მაკიაველის „მანდრაგორას“ მიხედვით დადგმულ სპექტაკლს. სპექტაკლის „გივი ტაქსისტის სიყვარულის ისტორიის“ მერე ეს რეჟისორისთვის უკვე მეორე სპექტაკლია, რომელიც ამ თეატრალურ სეზონზე მალხაზ ასლამაზიშვილმა თეატრის მოყვარულ მაყურებელს სწორედ ახმეტელის თეატრში შესთავაზა. ორივე სპექტაკლი კომედიური ჟანრისაა. რეჟისორს მიაჩნია, რომ ყოველდღიური ყოფითი პრობლემებით გადაღლილი მაყურებელი თეატრშიც ტრაგედიით ყურებით არ უნდა დაამძიმო, ამიტომაც გადაწყვიტა, მეორე სპექტაკლიც კომედიური ჟანრის დაედგა.

„მანდრაგორა“ ორმოქმედებიანი სპექტაკლია. მხატვრობა აივენგო ჭელიძეს ეკუთვნის,

კოსტიუმების მხატვარი ბარბარე ასლამაზიშვილია, კომპოზიტორი – ნინო ჯანჯღავა. სპექტაკლში მონაწილეობენ ზაზა დოქსანოვი (მესერე ნიჩა), ხატია მელქაძე (ლუკრეცია), ნელი ბადალაშვილი (სოსტრატა), დავით გელაძე, იგივე ჩელე (კალიმაქსო), კახა ჯოხაძე (ლიგურიო), ნოდარ ხუციშვილი (ჩირო) და მამუკა მაზავრიშვილი (ტომოთეო).

ნიკოლო მაკიაველის „მანდრაგორას“ მიხედვით დადგმული სპექტაკლის საპრემიერო ჩვენებები ახმეტელის თეატრში 4, 5 და 6 ნოემბერსაც გაიმართება.

**მალხაზ ასლამაზიშვილი, სპექტაკლის რეჟისორი:**

– ეს არის კომიკურად მოთხრობილი ამბავი იმის შესახებ თუ როგორ მიმართავენ საკუთარი მიზნების მისაღწევად ადამიანები ყოველგვარ ხერხს, როგორ აბრიყვებენ კაცს, რომელსაც ძალიან უნდა ჰყავდეს შვილი და მის ახალგაზრდა, პატიოსან ცოლს აიძულებენ, დაადგეს ქმრის ღალატის გზას და ამაში ყველა იღებს მონაწილეობას, თვით გაბრიყვებული ქმარიც. აქტიურად ვიმუშავეთ და გვაქვს იმედი, რომ საინტერესო სპექტაკლი იქნება. რამდენად გამართლდება ჩვენი იმედი, ამას უკვე პრემიერა გვიჩვენებს.

***– პიესის შერჩევისას რა პრინციპით იხელმძღვანელეთ?***

– პიესის შერჩევისას ვიხელმძღვანელე იმ პრინციპით, რომ ყოფილიყო ძალიან საინტერესო, დინამიური, სასაცილო და აზრი ჰქონოდა კიდევ მნიშვნელოვანი. სათქმელი ჩემთვის არის მთავარი და მგონია, რომ სათქმელი ამ პიესაში კარგია. რისი თქმა გვინდოდა, როცა მაყურებელი მოვა, მიხვდება ზუსტად იმას, რისი თქმაც გვინდოდა. ვფიქრობდი, რომ ამ პიესისგან შეიძლებოდა ფერადოვანი, სახალისო სპექტაკლის გაკეთება.

***– ეს არის თქვენი მეორე სპექტაკლი ახმეტელის თეატრში და ისევ კომედიური ჟანრის. რატომ ირჩევთ სულ კომედიური ჟანრის პიესებს?***

– კომედიას კი არ გადავეკიდე, ისე მოხდა, რომ მეორე პიესაც კომედიაა. ვფიქრობ, შემდეგი სპექტაკლი ისეთი დავდგა, რომ არ იყოს კომედია. კომედია მაყურებელს უყვარს, სპექტაკლზე მოსული ისვენებს, თან კომედიითაც შეიძლება სათქმელი თქვა. პრობლემების მერე, მაყურებელს ურჩევნია თეატრში მივიდეს და დაისვენოს და იქაც არ დაახვედრო ტრაგედია. ჩვენ გვინდა, დამძიმებული ხასიათით და გუნებით არ გავუშვათ მაყურებელი სახლში. ჩვენ გვინდა პატარა ხუმრობა სპექტაკლი წარვუდგინოთ მაყურებელს, მოვლენ, გამხიარულდებიან, დაივიწყებენ თავის პირად პრობლემებს და წავლენ სახლში ალბათ კმაყოფილები.

***– როგორია სპექტაკლის გუნდი, სულ ახმეტელის მსახიობები არიან თუ მოწვეული მსახიობებიც მონაწილეობენ?***

– სულ სპექტაკლში 7 მსახიობია დაკავებული და აქედან 5 მოწვეულია. ნელი ბადალაშვილი და მამუკა მაზავრიშვილი ახმეტელის თეატრის მსახიობები არიან.

***– ჩაეტიეთ ერთ მოქმედებაში?***

– არა, ორი მოქმედებაა. ერთი მოქმედება რა, ჩვენ კი არ ვთამაშობთ, სერიოზულ საქმეს ვაკეთებთ.

***– დიდი ხანი მოანდომეთ სპექტაკლისთვის დასრულებული სახის მიცემას?***

– არა, სცენაზე მხოლოდ ათი დღე ვიმუშავეთ. დეკორაცია დაგვიდგეს ახლახან და მოკლე ვადებში ჩავეტიეთ სპექტაკლზე მუშაობისას. დეკორაციებით რეპეტიცია მხოლოდ ერთი კვირა გვქონდა.

***– მზად ხართ მაყურებელთან შესახვედრად?***

– გვგონია, რომ მზად ვართ. დრო რომ უფრო მეტი გვქონოდა, უკეთესი იქნებოდა, მაგრამ არ გვაქვს ამის არც საშუალება და არც ფუფუნება. საერთოდ, კომედიას არ უხდება დიდხანს მუშაობა, საერთოდ არც ერთ პიესას არ უხდება დიდხანს მუშაობა, მით უმეტეს, კომედიას. მერე მსახიობებსაც ბეზრდებათ, იღლებიან, აღარ აინტერესებთ, მუხტიც იკარგება და ინტერესიც და ფიქრობენ, მერე რას გააკეთებენ. თვითონაც ასე ვარ, როცა პიესას დიდხანს ვდგამ, მბეზრდება და აღარ მაინტერესებს.

***– სად იქნებით პრემიერის დროს?***

– აქ ვიქნები. პრემიერის დროს სპექტაკლს აივნიდან ვუყურებ. დაბლა მაყურებელია და მათ სპექტაკლის ყურებაში ხელს არ შევუშლი.

***– პრემიერის შემდეგ თუ გიყვართ შენიშვნების მიცემა?***

– არა. მერე აღარ მიყვარს სპექტაკლის გადაკეთება. არც რეპეტიციებს ვნიშნავ ხოლმე. როგორც პრემიერაზე თამაშობენ, ისეთს ვტოვებ წარმოდგენას. თუკი დიდხანს აღარ ვითამაშეთ სპექტაკლი და აღსადგენია, მაშინ ვატარებ რეპეტიციას.

***– მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ეს პრემიერა არ გითამაშიათ, სად დადგამთ კიდევ სპექტაკლს?***

– მარჯანიშვილის თეატრში მინდა დავდგა სპექტაკლი, მაგრამ რის დადგმას ვაპირებ, ჯერ ვერ ვიტყვი.

***– ისევ კომეიდაა?***

– პიესას აწერია რატომღაც კომედია, მაგრამ პირადად ჩემთვის ის საკმაოდ სევდიანია. რატომ აწერია კომედია, ვერ გავიგე. ეს იქნება სერიოზული სპექტაკლი, თუ ხელი არაფერმა შეგვიშალა.

***– რამ უნდა შეგიშალოთ ხელი?***

– ფინანსურმა საკითხებმა. ახმეტელის თეატრშიც მინდა გავაკეთო სპექტაკლი, თუკი ამ თეატრს ჩემთან თანამშრომლობის სურვილი მომავალშიც ექნება.

# გოდერძი ჩოხელის შემოქმედებას კონფერენცია მიეძღვნება

ეკა ირემაშვილი

ქართველი მწერლის, სცენარისტისა და რეჟისორის გოდერძი ჩოხელის შემოქმედებას ორდღიანი კონფერენცია მიეძღვნება. პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტისა და ნიუ-იორკში ქართული კულტურის ცენტრის – საერთაშორისო ინკორპორაცია „ამირანის“ ორგანიზებით და თბილისის მერიის კულტურის სამსახურის, მცხეთა-მთიანეთის გუბერნიის ადმინისტრაციისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით გაიმართება.


გოდერძი ჩოხელი

კონფერენცია სახელწოდებით „გოდერძი ჩოხელი – შემოქმედება საზღვრებს გარეშე“ 28 და 29 ოქტომბერს ჩატარდება. კონფერენცია 28 ოქტომბერს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში გაიხსნება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართველი მეცნიერები. უნივერსიტეტის დარბაზში გოდერძი ჩოხელის ფილმის ჩვენება შედგება, 29 ოქტომბერს კი კონფერენციის ფარგლებში დუშეთის კულტურის სახლში წარმოდგენილი იქნება დუშეთის სახალხო თეატრის სპექტაკლი გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებების მიხედვით. ღონისძიების ორგანიზატორთა მიერ 30 ოქტომბერს გუდამაყარში დაგეგმილი იყო პოეტების, მწერლებისა და მუსიკალური ანსამბლების მონაწილეობით გოდერძი ჩოხელის ხსოვნის დღის მოწყობა, თუმცა, როგორც გოდერძი ჩოხელის მეუღლემ ნინო მელაშვილმა გვითხრა, მთაში თოვლის მოსვლის გამო, ტრადიციული დღესასწაული „გოდერძობა“ ჩაიშალა.

**ნინო მელაშვილი, გოდერძი ჩოხელის მეუღლე:**

– იმის გამო, რომ მთაში თოვლია და ყინავს, ეს ღონისძიება ჩაიშალა.

***– კონფერენციაში ხართ ჩართული?***

– ეს სამეცნიერო კონფერენციაა და მასში მეცნიერები არიან ჩართულები.

***– თქვენ მხოლოდ სტუმრის სტატუსით შემოიფარგლებით?***

– დიახ.

***– „გოდერძობას“ გაზაფხულზე ჩაატარებთ?***

– ჩვენ მივდივართ ხოლმე გუდამაყარში ტრადიციულად 2 ოქტომბერს, მის დაბადების დღეზე, მაგრამ ახლა ვაჟა-ფშაველას საიუბილეო დღეები ტარდებოდა იმ პერიოდში, თორემ გოდერძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი კონფერენცია 30 სექტემბერს, პირველ და ორ ოქტომბერს უნდა ჩატარებულიყო. ვინაიდან ვაჟას კონფერენცია იყო, ამიტომ გოდერძის კონფერენცია გადმოწიეს. ახლა, სამწუხაროდ, ყველგან ძალიან აცივდა, მთაში თოვლი და ყინვაა და ამ ღონისძიებამ გადაიწია. წესით, კონფერენცია სექტემბრის ბოლოს უნდა ყოფილიყო და მერე უკვე გუდამაყარში ავიდოდით. სამწუხაროდ, ამ ღონისძიებამ მომავალ წლამდე გადაიწია. ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა. ამ დროისთვის მთაში ყოველთვის ცივა და იქ ღონისძიებების ჩატარება შეუძლებელია ხოლმე.

***– მოკლედ, მთის ორი არწივი „დაეჯახნენ“ ერთმანეთს...***

– კი, ასე გამოვიდა. ხომ ამბობდა გოდერძი, ვაჟას ჯიბეში ვეჯექი და გადმოუვარდიო.

***– ვინ მიიღებს ამ კონფერენციაში მონაწილეობას?***

– ძალიან საინტერესო მოხსენებები იქნება. სამწუხაროდ, უცხოელი მეცნიერების ჩამოყვანა ფინანსების არქონის გამო ვერ მოვახერხეთ. საერთაშორისო სტატუსი კი აქვს ამ კონფერენციას, მაგრამ ავტორები ფიზიკურად ვერ ჩამოვიდნენ, თუმცა მათი ნაშრომები, წერილები და მოხსენებები ჩამოგვივიდა. საინტერესოა, როგორ მოახერხეს ამ ღონისძიების ორგანიზება. ძალიან დიდი გამოხმაურება იყო ქართველი მეცნიერებისა და ლიტერატორების მხრიდან გოდერძის შემოქმედებისადმი. არ მახსოვს, თანამედროვე მწერლის შემოქმედებას საერთაშორისო კონფერენცია მიძღვნოდეს. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ამ ღონისძიების ორგანიზატორებს. კიდევ არ მჯერა, როგორ მოხერხდა ამ ყველაფრის ორგანიზება.

***– ვერც გოდერძი ჩოხელის მთარგმნელი ავტორები ვერ ჩამოვლენ?***

– ვერა. ერთი ქალბატონი ავსტრიიდან არის და ვერ ჩამოგვყავს.

***– ვერც იაპონელი მთარგმნელი?***

– ვერა. ის თავად არის ქართველოლოგი, ისედაც უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ იაპონიაშია ისეთი სიტუაცია, ვერაფრით ვერ მოვდივარო. იტალიელია ლუიჯი მაგაროტო, რომელიც ასაკის გამო ვერ ჩამოდის. ამერიკიდან და ავსტრიიდან მეცნიერები უფინანსობის გამო ვერ ჩამოვიყვანეთ.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ზუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

- მუხრან-თელეთში 275 კვ.მ. საცხოვრებელი სახლის თეთრი კარკასი, მონტერეის გადახურვით, საკუთარი წყლით, ბუნებრივი აირით, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, რკინის კარით და ჟალუზებით, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებით, თბილისიდან 20 კმ-ში. შესაძლებელია განვადება. ტელ.: 790-55-58-62; 577-42-41-22. გიორგი.
- ჯიპი გრანდ ჩეროკი, თეთრი,1999 წლის, ნორმალურ მდგომარეობაში. ტელ.: 599-91-41-47, 514-40-11-77, 232-57-40.
- 3500 კვ.მ მიწის ნაკვეთი სოფელ წეროვანში. გამოდგება როგორც საკარმიდამოდ, ასევე კომერციული საქმიანობისთვის. მდებარეობს ტრასასთან ახლოს. ფასი: 25.000 დოლარი. ტელ.: 557-94-95-50.

## განცხადებები

- წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.
- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.
- სახის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, გამონაყარი (ასაკობრივი, პათოლოგიური) ფერისმჭამელა, ჭარბთმიანობისგან გათავისუფლება უმტკივნეულოდ, ბიომალამოთი, შედეგი 100%. ტელ: 899-96-44-94; 234-02-38 ქ-ნი ექიმი სპეციალისტი სალომე.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- ძვლებში მეტასტაზების მკურნალობა სწრაფად და შედეგიანად. სისხლის დაცვა და აღდგენა ქიმიო და რადიოთერაპიისას. ტელ: 295-23-98.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. თასი**

ვულვზი-სიტი ............ 2:5
სტოკი-ლივერპული ............ 1:2
ბლექბერნი-ნიუკასლი ............ 4:3(დდ)
ევერტონი-ჩელსი ............ 1:2(დდ)

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბირმინგემი-ლიდსი ............ 1:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ლევანტე-სოსიედადი ............ 3:2
რაიო-მალაგა ............ 2:0
სარაგოსა-ვალენსია ............ 0:1
ხეტაფე-ოსასუნა ............ 2:2
მალიორკა-ხიხონი ............ 1:2
რეალი-ვილიარეალი ............ 3:0

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალმერია-ხიმნასტიკი ............ 3:1
ელჩე-კორდობა ............ 0:1
უელვა-მურსია ............ 0:2
უესკა-ბარსელონა ბ ............ 0:1
ხერესი-საბადელი ............ 2:2
ლას პალმასი-ალკორკონი ............ 2:0

**იტალია. სერია ა**

ატალანტა-ინტერი ............ 1:1
ჯენოა-რომა ............ 2:1
კიევო-ბოლონია ............ 0:1
ლაციო-კატანია ............ 1:1
მილანი-პარმა ............ 4:1
ნაპოლი-უდინეზე ............ 2:0
ნოვარა-სიენა ............ 1:1
ჩეზენა-კალიარი ............ 1:1

**გერმანია. თასი**

ჰანოვერი-მაინცი ............ 0:1(დდ)
კარლსრუე-¬შალკე ............ 0:2
ესენი-ჰერტა ............ 0:3
კილი-დუისბურგი ............ 2:0
ფრანკფურტი-კაიზერი ............ 0:1(დდ)
ბაიერნი-ინგოლშტადი ............ 6:0
შტუტგარტი-ფრანკფურტი ............ 3:0
აუე-ნიურნბერგი ............ 1:2

**საფრანგეთი. ლიგის თასი**

დიჟონი-პსჟ ............ 3:2
მონპელიე-ლორიენი ............ 1:2
ლე მანი-რენი ............ 0:0(4:1პ)
ლილი-სედანი ............ 3:1
ნიცა-სოშო ............ 2:1
ოსერი-კაენი ............ 1:1
სენტ ეტინი-ლიონი ............ 1:2

**ჰოლანდია. თასი**

ვიტესი-დენ ჰააგი ............ 2:1
როდა-აიაქსი ............ 2:4

**შოტლანდია. ლიგის თასი**

ჰიბერნიანი-სელტიკი ............ 1:4

**ავსტრია. თასი**

ზალცბურგი-ლინცერი ............ 2:1
რაპიდი-რიდი ............ 1:2(დდ)
შტურმი-ადმირა ............ 3:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ისტამბული-ერჩიესი ............ 2:2
სამსუნი-ქარაბუქი ............ 0:0
ორდუ-ბურსა ............ 1:1
გალათასარაი-გაზიანთები ............ 2:4
ტრაბზონი-ანთალია ............ 2:2

**ჩეხეთი. თასი**

ჟიჟკოვი-ბუდეოვიცე ............ 1:1

**პოლონეთი. თასი**

ლიმანოვია-ვისლა ............ 1:2
ლეგია-ვიძევი ............ 3:0

**ნორვეგია. ტიპელიგა**

რუსენბორგი-ფრედრიკსტადი .... 2:0

**აშშ. მლს**

**პლეი ოფი**

დალასი-ნიუ იორკი ............ 0:2

**კალათბურთი**

**ევროლიგა. ულების თასი**

ცსკა-ბროზე ............ 94:74
ზაგრები-პანათინაიკოსი ............ 82:81
ეფესი-შარლერუა ............ 79:80
თორნიკე შენგელია: 8 ქულა, 8 მოხსნა
ლაბორალი-კანტუ ............ 81:69
მანუჩარ მარკოიშვილი: 6 ქულა, 3 მოხსნა
გიორგი შერმადინი: 11 ქულა, 5 მოხსნა

**ჩოგბურთი**

**ატპ. ვენა. ჰალი**

დელ პოტრო-პეტშნერი ............ 6:3;6:4
დავიდენკო-დარისისი ............ 6:3;0:6;6:7
ჰაასე-ნიემინენი ............ 6:7;4:6
ბაგდატისი-ანდერსონი ............ 2:6;6:7

**ატპ. სანკტ პეტერბურგი. ჰალი**

სეპი-პოსპიშილი ............ 7:5;7:6
ტიპსარევიჩი-როხუსი!ო. ............ 6:2;7:5
იუჟნი-ბენეტო ............ 6:4;3:6;6:2
მანარინო-როსოლი ............ 6:2;7:6

**ვტა. შემაჯამებელი ტურნირი**

აზარენკო-სტოსური ............ 6:2;6:2
შარაპოვა-ლი ............ 6:7;4:6
ვოზნიაცკი-ზვონარევა .... 2:6;6:4;3:6

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# პირველი წრე დერბებით დასრულდა

### დინამო – გაგრა 3:0

**თბილისი. მიხეილ მესხი**

**1:0 ჩისკო (48), 2:0 კოტო (71 პენ), 3:0 ჩისკო (74)**

**დინამო:** ლორია, ოდიკაძე, ჰომოლა, თომაშვილი (ხოჭოლავა 82), გ.ზ.რეხვიაშვილი, კვეკვესკირი, ალვარო, ჯილაური, კოტო (რობერტინიო 85), კახელიშვილი, ჩისკო (თექთურმანიძე 77)

**გაგრა:** სეფიაშვილი, ყურულაშვილი, კალანდაძე, ტყეშელაშვილი, ჯიშკარიანი, ზვიად ჩხეტიანი (ჯერემია 55), ნაკონეჩნი, შარიქაძე, ხუციძე (ორდინსკი 69), გაბედავა, კვანტალიანი

თბილისის „დინამომ“ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მოიგო, თუმცა პირველი ტაიმის შემდეგ ძნელი იყო იმის თქმა, რომ ალექს გარსიას გუნდი 3 ქულას აიღებდა. უსახური და უფერული 45 წუთის შემდეგ დინამოელებს გამარჯვება პირველ რიგში ესპანელი ლეგიონერის ჩისკოს კლასმა მოუტანა, რომელმაც დუბლი მიითვალა და ბომბარდირთა დავაში მასზე წინ მყოფ დიმიტრი ტატანაშვილსა და ჯაბა დვალს დაეწია.

რა შეიძლება გამოვყოთ პირველ ტაიმში: მიკელ ალვაროს თავით აცილებული ბურთი, ჯაბა ჯილაურისა და გიორგი კახელიშვილს უზუსტო დარტყმები, რომლებსაც სახიფათოს ვერ დავარქმევთ და უფრო ნახევარმომენტებში ჩაითვლება. მხოლოდ ეს შეძლო „დინამომ“ საკმაოდ სოლიდური უპირატესობის ფონზე და შესვენებამდე 3 ქულის საკითხი კიდევ ერთხელ დააყენა ეჭვქვეშ.



ანტრაქტის შემდეგ მოედანზე გაცილებით სხვა „დინამო“ იდგა. უკვე მეორე ტაიმის დასაწყისშივე აქტიურმა კახელიშვილმა ფლანგზე კარგად ითამაშა და საჯარიმოში ჩისკო მოძებნა, რომელსაც ბევრი არ დაახანა და ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი კონსტანტინე სეფიაშვილის კარის კუთხეში – 1:0.

გაშვებული გოლის შემდეგ ხელი „გაგრამაც“ გამოიღო და საკმაოდ მწვავედ შეუტია. მე-60 წუთზე ნიგერიელი ჯონ ჯერემია დინამოელ მცველებს გაექცა და გიორგი ლორიასთან პირისპირ დარჩა, თუმცა ძალიან ცუდად დაარტყა და დინამოელთა მეკარეს მისი აღება არ გასჭირვებია. მალევე ამას ნიკა ჯიშკარიანის სახიფათო გარღვევა და პასი მოჰყვა, თუმცა, ამჯერად „დინამოს“ დაცვამ მომენტი განმუხტა.

ცხადია, სტუმრები ცდილობდნენ გათანაბრებას, მაგრამ არც „დინამოს“ უფიქრია ანგარიშის შენარჩუნება და უკვე 74-ე წუთზე მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო.

70-ე წუთზე, დავით ოდიკაძის ჩაწოდების შემდეგ ჩისკო ურტყამდა კარში, მაგრამ ბურთი კოკა სეფიაშვილმა კუთხურზე გადააგდო, რომლის შემდეგ მიკოლა ნაკონეჩნი ბურთს იგერიებდა, მაგრამ ხელიც მიაშველა და მსაჯმა გაგრელთა კარში პენალტი დანიშნა, რომლის გატანა უკვე მეორე ესპანელ ლეგიონერ კარლეს კოტოს არ გასჭირვებია – 2:0.

74-ე წუთზე კი, ოდიკაძის მორიგ ჩაწოდების შემდეგ, ჩისკომ ვარდნაში დაარტყა და მეტად ლამაზი გოლიც გაიტანა – 3:0.

ოდიკაძეზეც უნდა ვთქვათ, რომ კარგი მატჩი ჩაატარა, ეფექტური იყო შეტევებში.

დარჩენილ დროში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო და გუნდები უფრო ინერციით ირჯებოდნენ მოედანზე.

პირველი წრის შემდეგ „დინამო“ მე-2 ადგილზეა, „გაგრამ“ კი წრე მე-8 პოზიციაზე დაასრულა.

### ზესტაფონი – ვიტ ჯორჯია 2:0

**ზესტაფონი. დავით აბაშიძის სახელობის სტადიონი**

**1:0 წინამძღვრიშვილი (60), 2:0 დვალი (71)**

**ზესტაფონი:** მამალაძე, ალადაშვილი, კობახიძე, ონიანი, ელიავა, ძარია (ბენაშვილი 55), აფციაური, გორგიაშვილი (ფიფია 74), შ.გრიგალაშვილი, გელაშვილი (წინამძღვრიშვილი 57), დვალი

**ვიტ ჯორჯია:** ძაძამია, ხურცილავა, ადამაძე, გოგიაშვილი, ლანიაშვილი, ვასაძე, გურამ გურეშიძე, კორიფაძე (გიორგი გურეშიძე 75), ჯანელიძე, ზაქრაძე (ოთარიშვილი 65), ჩიმაკაძე (სიხარულიძე 69)

პირველი ტაიმი ზესტაფონელებმა აქტიურად ჩაატარეს, ტერიტორიულ უპირატესობაც ისინი ფლობდნენ, თუმცა, თუ შოთა გრიგალაშვილის სახიფათო შორეულ გასროლასა და ხიფათის შექმნაზე ორიენტირებულ რამდენიმე იერიშს არ ჩავთვლით, „ზესტაფონს“ რეალური საგოლე მომენტის შექმნა გაუჭირდა. მეტიც, ტაიმის მიწურულს შანსი სტუმრებსაც მიეცათ – მასპინძელთა საჯარიმოში შექმნილ სახიფათო სიტუაციას დარტყმით გურამ ადამაძე აგვირგვინებდა, თუმცა, გაშვებული გოლისაგან მარგველები გიორგი ონიანის თავგანწირულმა თამაშმა იხსნა.

ზესტაფონელები, როგორც ეს მასპინძლის, ლიდერისა და ფავორიტის სტატუსს შეეფერება, უპირატესობას მეორე ტაიმის დაწყებისთანავე ისევ დაეუფლნენ. პირველი ტაიმისაგან განსხვავება კი იმაში მდგომარეობდა, რომ მარგველები გოლის გატანაზე უფრო მეტად იყვნენ აქცენტირებულნი და რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, მე-60 წუთზე დაწინაურდნენ კიდეც – შოთა გრიგალაშვილის ბრწყინვალე სოლო-რეიდი საგოლე დარტყმით მოედანზე 3 წუთის შემოსულმა რატი წინამძღვრიშვილმა დააგვირგვინა.

ანგარიშში დაწინაურების შემდეგ იმერლებმა ბედის ძებნა ისევ მეტოქის კართან განაგრძეს და ამისათვის 70-ე წუთზე დაჯილდოვნენ – ზესტაფონელთა სწრაფი იერიში შეტევის მარცხენა ფლანგიდან ალექს ბენაშვილის მიერ საჯარიმოში გაკეთებული გამჭოლი გადაცემითა და ჯაბა დვალის გოლით დასრულდა – 2:0.

### ტორპედო – კოლხეთი 4:1

**ქუთაისი. ცენტრალური.**

**1:0, 2:0 გოცირიძე (16, 43), 3:0 გიორგი დათუნაიშვილი (3:0), 3:1 ციცხვაია (66), 4:1 დოლიძე (72)**

**ტორპედო:** მიგინეიშვილი, ს.თოდუა, გამეზარდაშვილი, დ.ფოფხაძე, გურული, გ.დათუნაიშვილი (კუხიანიძე 56), დ.ბოლქვაძე (იოსელიანი 69), დოლიძე, თარხნიშვილი, გოცირიძე (საბანაძე 62), დილმელაშვილი

**კოლხეთი:** ბობლიაშვილი, ინწკირველი, ცხვიტარია, შავგულიძე (ციცხვაია 59), გოგონაია, ლემონჯავა, გვალია (ცხადაია 75), ქებაძე, გ.კილასონია, მდივნიშვილი, პ.დათუნაიშვილი (ლომაშვილი 46)

რიონისპირელთა დერბი უხვგოლიანი გამოდგა და მასპინძელთა დიდი ანგარიშით გამარჯვებით დასრულდა. ეს უკვე გია გეგუჩაძის მორიგი სამქულიანი გასროლა გამოდგა „ტორპედოში“ მისვლის შემდეგ. ახალი მწვრთნელის თავკაცობით ქუთაისელებს ჯერ ქულა არ დაუკარგავთ და ამის გამო ბოლო ორი წლის მანძილზე პირველად აღმოჩნდნენ სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე.

ქუთათურებმა დებიუტშივე აქტიურად და აგრესიულად შეუტიეს მეტოქის კარს და გარჯა უკვე მე-16 წუთზე დაუფასდათ – მარცხენა ფლანგიდან თორნიკე თარხნიშვილის ჩაწოდების შემდეგ რევაზ გოცირიძემ ნახტომში ეფექტური თავური დარტყმით ფოთელთა კარში პირველი გოლიც გაიტანა – 1:0.

გეგუჩაძე რომ შემტევი ფეხბურთის მიმდევარია, ამის შემდეგაც გამოჩნდა. მასპინძლებს შეტევები არ შეუწყვეტიათ და კიდევ მართებდათ გატანა, თუმცა გოლი მხოლოდ ტაიმის ბოლოს გავიდა და ისევ გოცირიძემ იხეირა. 43-ე წუთზე მარჯვენა ფლანგიდან გრიგოლ დოლიძის ჩაწოდებული ბურთი ფოთელმა მცველებმა ვერ მოიგერიეს და კარგ პოზიციაში მყოფ გოცირიძესაც ხელი არავინ შეუშალა. ტორპედოელ ფორვარდს კი გატანა აღარ გასჭირვებია – 2:0.

სანახაობრივი გამოდგა მე-2 ტაიმიც. 54-ე წუთზე დაჩი ფოფხაძემ ფოთელთა შეტევა ჩაჭრა, თითქმის ნახევარი მოედანი გაირბინა და ბურთი კარში ძლიერად დაარტყა, რომელიც მინდია ბობლიაშვილმა გაჭირვებით მოიგერია კუთხურზე. სტანდარტულის შემდეგ ფოთელთა საჯარიმოში არეულობა შეიქმნა, ბურთი დავით ბოლქვაძეს მიუვიდა, რომელმაც ძლიერად დაარტყა, მაგრამ ფოთელი მცველი გადაეღობა, თუმცა, ყველაზე ადრე სიტუაციაში გიორგი დათუნაიშვილი გაერკვა და ანგარიშში სხვაობა გაზარდა – 3:0.

ამის შემდეგ „ტორპედო“ მოეშვა და კინაღამ დაისაჯა. მართალია, ფოთელებმა ერთი ბურთი გაქვითეს, მაგრამ ერთხელ მასპინძლები დავით გამეზარდაშვილმა იხსნა, რომელმაც გვალიას დარტყმის შემდეგ ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანა.

ფოთელებმა 66-ე წუთზე გაიტანეს – ქუთაისელთა ცენტრალური მცველების შეუთანხმებელი მოქმედებებით დავით ციცხვაიამ ისარგებლა – 3:1.

სტუმართა იმედი 72-ე წუთზე დოლიძემ მოკლა – კუხიანიძე-საბანაძე-დოლიძის კომბინაცია ამ უკანასკნელმა ეფექტური დარტყმით დაასრულა – 4:1.

### მერანი – ბაია 1:0

**მარტვილი. ცენტრალური**

**1:0 ჩალაძე (42)**

**მერანი:** შეროზია, კაკუშაძე, გ.ჟვანია, სუხიაშვილი, იობაშვილი, დიდავა, მანწკავა, ე.გრიგალაშვილი, ჩალაძე (კუჭუხიძე 85), ამბროლაძე (მემარნიშვილი 72), ტაპე (ჭაფოძე 89)

**ბაია:** მაქაცარია, ტყემალაძე, გუგუჩია (შ.ლომია 66), სიხარულია, რიგვავა, ქობალია (კუკავა 71), ეხვაია, წურწუმია (სამუშია, 81), აფაქიძე, მგელაძე, აკობია

მეგრული დერბი დებიუტანტის გამარჯვებით დასრულდა. საერთოდ, მარტვილელები კარგად გამოიყურებიან და ამ ჩემპიონატის ნამდვილი აღმოჩენა შეგვიძლია ვუწოდოთ. ურიგოდ არც გასვლით მატჩებში გამოიყურებიან, მაგრამ საშინაო არენაზე განსაკუთრებით კარგად ირჯებიან და ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცეს.

მატჩის ბედი ლაშა ჩალაძის ზუსტმა დარტყმამ გადაწყვიტა, რომელიც პირველი ტაიმის მიწურულს გავიდა. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ უსაქმოდ არც სტუმრები ყოფილან, მაგრამ ჯონი შეროზიას კარგ თამაშს ვერაფერი მოუხერხეს.

### სიონი – მეტალურგი 2:2

**ბოლნისი. თამაზ სტეფანიას სახელობის სტადიონი**

**1:0 კემუხტაშვილი (5), ქუცურუა (45), 2:1 მოდებაძე (78), 2:2 რაზმაძე (88პ)**

**54-ე წუთზე ტატანაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)**

**სიონი:** ვ.ლობჟანიძე, სვანიძე, თარგამაძე, ლ.ჩხეტიანი, გაბრიჭიძე, ალავიძე, ვ.ბოლქვაძე, ქუცურუა, ისიანი (ფეიქრიშვილი 77), გ.ჯ.რეხვიაშვილი, კემუხტაშვილი (უგულავა 79)

**მეტალურგი:** ბედიაშვილი, სეთურიძე, მიქაბერიძე, ქავთარაძე (დობროვოლსკი 65), ჯაფარიძე, ტატანაშვილი (გავაშელიშვილი 77), ი.მაისურაძე (პავლიაშვილი 58), მოდებაძე, მახვილაძე, რაზმაძე, კვახაძე

**გაძევება:** ჩხეტიანი (88)

კიდევ ერთი დერბი – ამჯერად ქვემო ქართლური, რომელშიც ფავორიტმა მოგება ვერ მოახერხა. ბოლო ტურებში კარგად ათამაშებულმა „მეტალურგმა“ გაჭირვებული, უფულო და „უპატრონო“ „სიონის“ დამარცხება ვერ მოახერხა. მეტიც, ქულის აღება სულაც ბოლო წუთებზე მოახერხა.

ანგარიში ლაშა კემუხტაშვილმა გახსნა, რასაც ქუცურუამ მეორე მიაყოლა და ბოლნისელები შესვენებაზე ორბურთიანი ჰანდიკაპით გავიდნენ.

„მეტალურგი“ მხოლოდ მეორე ტაიმში გამოფხიზლდა. სხვაობის შემცირების შანსი რუსთაველებს 54-ე წუთზე მიეცათ, მაგრამ მათმა ბომბარდირმა ტატანაშვილმა პენალტი ვერ გაიტანა. აქ არც ლობჟანიძის გარჯა არ უნდა დავკარგოთ.

თუმცა, სტუმრებმა ქულის გადარჩენა მაინც პენალტით მოახერხეს, რომელიც ამჯერად ლუკა რაზმაძემ გაიტანა, მანამდე კი თავი ირაკლი მოდებაძემ გამოიჩინა.

გამთანაბრებელ გოლს კი უკვე მეტოქე გუნდის ფეხბურთელებს შორის ჯერ შელაპარაკება, მერე კი გაწევ-გამოწევა მოჰყვა: თამაში, სულ მცირე, 4-5 წუთით იყო შეჩერებული და კიდევ კარგი, ბოლნისელმა წესრიგის დამცველებმა იყოჩაღეს და მართლაც ლამის ჭკუიდან გადასულ ადგილობრივ ქომაგებს მოედანზე შეცვენის საშუალება არ მისცეს.

არც არბიტრთა ბრიგადას დაჰკლებია „ტკბილ-ტკბილი“ სიტყვების მოსმენა, ვიდრე გასახდელამდე მიაღწევდა.

### დილა – სპარტაკი 1:2

**გორი. ქართლის სტადიონი**

**0:1 ჯიქია (25), 0:2 მეტრეველი (38), 1:2 გოგინაშვილი (62).**

**დილა:** მერლანი, ბაქრაძე, ქარქუზაშვილი, ლ.ჩაგელიშვილი, შათირიშვილი, ჯოჯუა (ახალკაცი 50), ვალტერ ხორგუაშვილი (ნემსაძე 46), ნ.ნოზაძე (ი.ბერაია 76), გოგინაშვილი, რაჟამაშვილი, დ.ჩაგელიშვილი

**სპარტაკი:** ძაგანია, თიბილაშვილი, ტეტუნაშვილი, ლომაია, ხუბუა, შალამბერიძე, თ.შონია, მამუჩიშვილი, შარაშენიძე (ნ.მაისურაძე 59), ჯიქია (დ.გელაშვილი 90), მეტრეველი

**გაძევება:** მაისურაძე (87)

დერბიმ არც ქართლი გამოტოვა და საკმაოდ საინტერესოდაც წარიმართა.

ანგარიში სტუმარმა რეზო ჯიქიამ გახსნა, ტაიმის ბოლომდე კი ზვიად მეტრეველმა ანგარიში გააორმაგა.

გორელებმა ერთი საპასუხო გოლის გატანა 62-ე წუთზე შეძლეს – რომან გოგინაშვილის მიერ მარცხენა ფლანგიდან დარტყმული ბურთი ცხინვალელი მცველის ფეხს შეეხო და ბადეში ისე აღმოჩნდა.

მატჩის ბოლოს მაისურაძემ არბიტრისგან მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და „სპარტაკს“ შეხვედრის ბოლო 5 წუთი კაცნაკლულად ჩამთავრება მოუწია.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზესტაფონი | 11 | 8 | 2 | 1 | 25:13 | 26 |
| 2.დინამო | 11 | 7 | 1 | 3 | 23:12 | 22 |
| 3.ტორპედო | 11 | 7 | 1 | 3 | 14:7 | 22 |
| 4.მეტალურგი | 11 | 6 | 3 | 2 | 16:10 | 21 |
| 5.ბაია | 11 | 6 | 1 | 4 | 15:8 | 19 |
| 6.მერანი | 11 | 5 | 2 | 4 | 13:12 | 17 |
| 7.ვიტ ჯორჯია | 11 | 4 | 2 | 5 | 10:14 | 14 |
| 8.გაგრა | 11 | 4 | 1 | 6 | 12:16 | 13 |
| 9.დილა | 11 | 3 | 1 | 7 | 15:18 | 10 |
| 10.სპარტაკი | 11 | 2 | 4 | 5 | 8:16 | 10 |
| 11.კოლხეთი | 11 | 2 | 3 | 6 | 8:17 | 9 |
| 12.სიონი | 11 | 0 | 3 | 8 | 6:22 | 3 |

**ბომბარდირები:** ჩისკო (დინამო), ჯაბა დვალი (ზესტაფონი), დიმიტრი ტატანაშვილი (მეტალურგი) – 8-8 ბურთი.

## ტევესის საფულე მილიონი გირვანქით შეთხელდება




„მანჩესტერ სიტიმ“ კარლოს ტევესი მისი ერთი თვის ხელფასის ოდენობით დააჯარიმა, რაც მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენს.

ამასთან, კლუბი მზად არის, თავნება ფეხბურთელი მოიშოროს, მაგრამ ფორვარდს 40 მილიონზე ნაკლებ თანხად არ გაყიდის. ეს იმიტომ, რომ არგენტინელის შეძენა 18 მილიონად ბრაზილიურ „სან პაულუს“ სურს.

ტევესმა ხელმძღვანელობისგან წერილობითი გაფრთხილებაც მიიღო, რომელშიც მომავალში მსგავსი საქციელის ჩადენა იკრძალება.

კლუბმა გადაწყვიტა, ფეხბურთელს დისკვალიფიკაცია არ გაუგრძელოს, თუმცა, ადრე რობერტო მანჩინი აცხადებდა, რომ ტევესი მის გუნდში აღარ ითამაშებდა.

ამასთან ერთად, გაჩნდა ინფორმაცია, თითქოს არგენტინელი აპირებს, რობერტო მანჩინის სასამართლოში დისკრედიტაციის გამო უჩივლოს. როგორც გაირკვა, ფეხბურთელმა „ბაიერნთან“ შეხვედრის შემდეგ გაიგო, რომ თურმე მანჩინის რეპლიკები მის მიმართ სულ არ ეხებოდა ფეხბურთს.

შედით საიტზე atb.ge

# საფორტეპიანო ტრიოს კულტურის სამინისტრო მეურვეობს

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ახალი საფორტეპიანო ტრიოს „პერ ტე“, რაც იტალიურად „ტრიო თქვენთვის“ ნიშნავს, საპრეზენტაციო კლიპის წარდგინება გაიმართა.

ახლად შექმნილ საფორტეპიანო ტრიოს „პერ ტე“ მუსიკალური ვიდეოკლიპი რეჟისორმა დავით გერსამიამ გადაუღო. მუსიკალური კლიპი აგებულია ნუკრი აბაშიძის სპეციალურად ტრიოსთვის შექმნილ მინიატურაზე. კლიპი „ჰორიზონტ ტვ სტუდიის“ მიერ არის გადაღებული. მუსიკალური ვიდეორგოლის პრეზენტაციას სხვა სტუმრებთან ერთად საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა, მუსიკოსები, მიწვეული სტუმრები და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრნენ. კლიპი კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით მომზადდა.

თავად „ტრიო პერ ტე“ მას შემდეგ დაარსდა, რაც 2011 წლის 14 ივლისს ტრიოს წევრები შვეიცარიაში მოღვაწე პიანისტი თეა ჭკუასელი, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრის პირველი ვიოლინო ლელა მჭედლიძე და ამავე ორკესტრის ვიოლონჩელების ჯგუფის კონცერტმაისტერი გიორგი ჯორჯაძე პირველად თბილისში წარდგნენ მსმენელის წინაშე. სწორედ ამ წარმატებულმა გამოსვლამ განაპირობა მათი საფორტეპიანო ტრიოდ ჩამოყალიბება, რომელსაც მოგვიანებით „ტრიო პერ ტე“ უწოდეს. ამჟამად ტრიოს კულტურის სამინისტრო მეურვეობს.

3 სოლისტი - თეა ჭკუასელი, ლელა მჭედლიძე და გიორგი ჯორჯაძე ტრიოს სახით პირველად წარდგნენ საზოგადოების წინაშე. წარმატებამ განაპირობა მათი საფორტეპიანო ტრიოდ ჩამოყალიბება, რომელსაც მოგვიანებით „თრიო პერ ტე“ ეწოდა. პრეზენტაციის დასასრულს საფორტეპიანო ტრიომ შოსტაკოვიჩის, პიაცოლასა და ნუკრი აბაშიძის ნაწარმოებები კულტურის სამინისტროში შეკრებილი საზოგადოებისთვის შეასრულა.



ნიკოლოზ რურუა

**ნიკოლოზ რურუა, კულტურის მინისტრი:**

– მინდა მათ მივულოცო ასეთი ძალიან თბილი მიღება საზოგადოებისგან. მოხარული ვარ, რომ შედგა მათი წარმატებული დებიუტი. მათი საპრეზენტაციო ვიდეორგოლი უკვე გადაღებულია, რომელიც აუცილებლად გაუთქვამს სახელს ამ ტრიოს მანამდე, სანამ მოივლიან კონცერტებით ჯერ ჩვენს ქვეყანას და შემდეგ უკვე საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებს. ამ საფორტეპიანო ტრიოს ჩამოყალიბება განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით – საქართველოში ამჟერად არ არსებობს მსგავსი ანსამბლი მუდმივი შემადგენლობით, ქართველი მსმენელი მოკლებულია საფორტეპიანო ტრიოსთვის დაწერილი უმდიდრესი კლასიკური მუსიკალური მემკვიდრეობის საუკეთესო ნიმუშების, თანამედროვე კომპოზიტორების ნაწარმოებების მოსმენას. გარდა ამისა, ტრიოს მიზანია ახალგაზრდა ქართველ კომპოზიტორებს მისცეს საშუალება და სტიმული საფორტეპიანო ტრიოსთვის შექმნან ახალი ნაწარმოებები, ასევე, ხელი შეუწყოს თანამედროვე ავტორებისა და შემსრულებლების პოპულარიზაციას საზღვარგარეთ.

**დავით გერსამია, კლიპის რეჟისორი:**

– იმისათვის, რომ კლასიკურ მუსიკაზე კლიპი გადაიღო, ან კარგად უნდა ფლობდე პარტიტურას, ან სმენით ძალიან კარგად უნდა იცოდე ეს ნაწარმოები. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გამოვა კლასიკურ ნაწარმოებზე გადაღებული კლიპი ლამაზი და შინაარსიანი. ტრიოს კლიპს საფუძვლად დაედო ნუკრი აბაშიძის სპეციალურად ამ კოლექტივისთვის დაწერილი მინიატურა. ვულოცავ ამ საფორტეპიანო ტრიოს ფართო საზოგადოების წინაშე ოფიციალურ წარდგინებას და უამრავ შემოქმედებით წარმატებას ვუსურვებ.

**თეა ჭკუასელი, პიანისტი:**

– ჩვენ სამივე დამოუკიდებლად ვმოღვაწეობთ. ამის მიუხედავად, მოხარული ვარ, რომ ჩვენ ტრიოს სახით ჩამოვყალიბდით. ჩვენ სამივე კომფორტულად ვგრძნობთ თავს ამ შემადგენლობით და ერთად დაკვრა გვსიამოვნებს. კამერული ანსამბლი მუსიკოსს დიდ გამოცდილებას აძლევს და ამავე დროს უნიკალური შანსია უდიდესი სიამოვნება მიიღო.

***– კიდევ სად აპირებთ თქვენი ტრიოს წარდგენას?***

– ჩვენს სამომავლო გეგმებში შედის ქართული ნაწარმოებების საზღვარგარეთ გატანა და მათი პოპულარიზაცია. სპეციალურად ჩვენთვის ნუკრი აბაშიძემ დაწერა მინიატურა. ვისურვებდი, უფრო მეტი ქართველი კომპოზიტორი დაგვეკრა. თუკი შევაგონებთ მათ, რომ შექმნან ახალი ნაწარმოებები, ეს გაცილებით უფრო საინტერესო იქნება ჩვენთვის. ჩვენი უდიდესი სურვილია, ახალგაზრდები დაინტერესდნენ ჩვენი ტრიოთი და მათაც მოუნდეთ ახალი ნაწარმოებების შექმნა. ჩვენ კი მათ პირობას ვაძლევთ, რომ მათ ნაწარმოებებს, საზღვარგარეთ გავიტანთ.

**გიორგი ჯორჯაძე, ჩელისტი:**

– ამ დრომდე საქართველოში მუდმივმოქმედი საფორტეპიანო ტრიო არ არსებობდა. ჩვენი ჩამოყალიბებით კი ეს ტრიო უკვე გაჩნდა. სამწუხაროდ, ამ ტრიოს არარსებობის გამო, იშვიათად სრულდებოდა ამ ინსტრუმენტული შემადგენლობისთვის შექმნილი რეპერტუარი. ახლა კი, ჩვენ გვეძლევა შანსი, ეს ნაწარმოებები ავაჟღეროთ. ზოგადად, ფორტეპიანოს დიდი შესაძლებლობები აქვს, როგორც ინსტრუმენტს. მას შეუძლია მარტოც იყოს, მაგრამ ორი ხმაც რომ დაემატება, შესრულება უფრო მრავალფეროვანია. ეს კი კომპოზიტორისთვის ბევრად ხელსაყრელია ჟღერადობის მხრივ. საბედნიეროდ, ტრისოთვის ბევრი რეპერტუარია შექმნილი.

**ლელა მჭედლიძე, მევიოლინე:**

– ამ შემადგენლობით ჩვენ გვაქვს საშუალება შევარჩიოთ რეპერტუარი მრავალფეროვნად. ეს ყველაფერი იძლევა უკიდეგანო მუზიცირების საშუალებას. ჩვენ ამ ტრიოს შექმნით ვცდილობთ ქართული კულტურა გავიტანოთ საზღვარგარეთ და მოვასმენინოთ რაც შეიძლება მეტი ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოები უცხოელ მსმენელს.

***– საპრეზენტაციოდ შოსტაკოვიჩი და პიაცოლა რატომ შეარჩიეთ?***

– პიესები პიაცოლას „წელიწადის დროებიდან“ სწორედ საფორტეპიანო ტრიოსთვის არის დაწერილი. მინიატურა კი ქართველმა კომპოზიტორმა ნუკრი აბაშიძემ სპეციალურად ჩვენი ტრიოსთვის დაწერა. ჩვენი ტრიოს თითოეული წევრის უდიდესი სურვილია, სხვა ქართველმა კომპოზიტორებმაც მიბაძონ ამ ადამიანს და საფორტეპიანო ტრიოებისთვის რაც შეიძლება მეტი ახალი ქართული ნაწარმოები შეიქმნას.

# ჯონ ბასმა ძუძუს კიბოს პრობლემებისადმი მიძღვნილი ერთწლიანი ღონისძიებები გახსნა

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში ჯონ ბასმა ძუძუს კიბოს პრობლემებისადმი მიძღვნილი ერთწლიანი ღონისძიებების აქცია გახსნა.

ჯონ ბასის თქმით, მთელ მსოფლიოში, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველი წლის 27 ოქტომბერს, ძუძუს კიბოს პრობლემებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები იხსნება და ერთი თვის განმავლობაში გრძელდება. მისივე განცხადებით, ასეთივე ღონისძიებები საქართველოშიც იმართება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, ძუძუს კიბო არის ყველაზე ფართოდ გავრცელებული ქალებს შორის, როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში.

– ამერიკის საელჩო მოხარულია გამოაცხადოს მომავალი ერთწლიანი თანამშრომლობის შესახებ კიბოს პრევენციისა და საქართველოს ეროვნულ სკრინინგ ცენტრებთან, რათა მოხდეს ქართველი ქალების უკეთ გათვითცნობიერება მიმდინარე საგანმანათლებლო სესიებში, რომლებიც შეეხება ჯანმრთელი ცხოვრების წესს, პრევენციას, კიბოს ადრეულ გამოვლინებას და ძუძუს კიბოს სკრინინგს მთელ საქართველოში, – განაცხადა ჯონ ბასმა.



ჯონ ბასი

მისივე თქმით, ძუძუს კიბოს პრობლემატიკისადმი მიძღვნილი თვე არის ყოველწლიური საერთაშორისო ჯანდაცვის კამპანია, რომელიც მიზნად ისახავს დაავადების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდას, ჯანმრთელი ცხოვრების წესის ხელშეწყობას და დაავადების ადრეული გამოვლინების შემთხვევების ზრდას.

აღნიშნული კამპანია ასევე აწვდის ინფორმაციას და დახმარებას უწევს ძუძუს კიბოთი დაავადებულ ადამიანებს. ჯონ ბასის განცხადებით, მისი მეუღლეც თავის დროზე ძუძუს კიბოთი დაავადდა, რომლის ადრეულმა გამოვლინებამ საშუალება მისცა, უფრო მეტ ხანს ეცოცხლა.

ინტერპრესნიუსი

# ავთო ვარაზის ნამუშევრები წიგნად აიკინძა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბას მისცემს, თვეში ერთხელ შეიძინონ მე-19 საუკუნის გამოჩენილი მხატვრების მაღალ დონეზე გამოცემული ალბომები. პროექტს ჯემალ ქარჩხაძის გამომცემლობა ახორციელებს. ავთო ვარაზი აღმოჩნდა პირველი მხატვარი, რომელსაც ქარჩხაძის გამომცემლობამ სრულყოფილი ალბომი მიუძღვნა.



გია ქარჩხაძე

– პირველი ალბომი მიეძღვნა ავთო ვარაზის შემოქმედებას. თიბისი გალერეაში მხოლოდ 5 დღით გამოიფინა მხატვრის ტილოები, რომლებიც კერძო კოლექციებშია დაცული. ჩვენ მოხარულები ვართ, რომ ასეთი ცნობილი მხატვრის ტილოები ჩვენს სივრცეში აღმოჩნდა, – განაცხადა თიბისი ბანკის წარმომადგენელმა თამარ კირვალიძემ.

ავთო ვარაზი საბჭოთა კავშირში აკრძალული მხატვარი იყო. ის პირველი მხატვარია, რომლის ნამუშევრები და ცხოვრების ყველაზე საინტერესო მომენტები ერთ გამოცემაში გაერთიანდა. ავთო ვარაზისადმი მიძღვანილი ალბომი მთლიანად მისმა მეუღლემ, ქალბატონმა მანანა ღვთისიაშვილმა წაიკითხა, ამიტომ ქარჩხაძის გამომცემლობა ირწმუნება, რომ ამ კრებულში ერთი სიტყვაც კი არ არის ტყუილი.

– ამ ავტორზე დღემდე არსებობს უამრავი მითი და უამრავი არასწორი ინფორმაცია. ჩვენი ალბომი კი ავთო ვარაზის შემოქმედების მოყვარულთ მხოლოდ სიმართლეს გაანდობს. ჩვენს წიგნში შესული ყველა ინფორმაცია მისი მეუღლის, ქალბატონ მანანა ღვთისიაშვილის მიერ გულდასმით არის წაკითხული. ამიტომაც ამ წიგნში ყველაფერი რეალურია. მიხარია, რომ ჩვენი პირველი პროექტი წარმატებით დაიწყო. ეს არის პირველი გამოფენა, რომელით პროექტის „ქართული მხატვრობა“ ფარგლებში ჩატარდა. ავთო ვარაზის ალბომის გამოცემაზე ერთი წელი ვმუშაობდით, ამიტომ მასში მთელი ჩვენი მონდომება, სული და გული ჩავდეთ, – აღნიშნა პრეზენტაციაზე გია ქარჩხაძემ.

როგორც გია ქარჩხაძე ირწმუნება, თვეში ერთხელ, ქართველ საზოგადოებას მიეცემა საშუალება, ცნობილი ქართველი მხატვრების შესახებ სრულყოფილი გამოცემა მიიღოს.

– ავთო ყოველთვის ამბობდა, ხატვა ნებისმიერ ადამიანს შეიძლება ასწავლოო. თან იცინოდა იმაზე, როგორ ასწავლიან, გაჭიმული ხელით და მოჭუტული თვალითო. ხატვის სწავლა მართლაც ყველასთვის შეიძლება, მაგრამ ფერწერისა – არა. მისი აზრით, ფერწერა ისეთი რამეა, რომლის ხატვაც ან შეგიძლია, ან – არა, – აღნიშნა ალბომის პრეზენტაციაზე მხატვრის ცოლმა მანანა ღვთისიაშვილმა.

ჯერ კიდევ 5 წლის ასაკში ავთო ვარაზმა უკვე იცოდა, რომ ხატვა იყო მისი ცხოვრების მომავალი და ამოსავალი წერტილი. ფერადი ფანქრებით შესრულებული ნამუშევრები 5 წლის ბავშვმა მისაღებ ოთახში გამოკიდა და პირველი გამოფენა მოაწყო. ავთო ვარაზი ისე გარდაიცვალა, საკუთარი ნამუშევრების ერთად თავმოყრა და მათი გამოფენა ვერ მოასწრო. პირველად ავთო ვარაზის ტილოები მისი გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ გამოიფინა, მეორედ 1997 წელს, მესამედ კი ახლა – მისი გარდაცვალებიდან 34 წლის შემდეგ, მხოლოდ რამდენიმე დღით დათმეს კერძო კოლექციონერებმა და ფართო საზოგადოებას წარუდგინეს. მთლიანობაში თიბისი გალერეაში ავთო ვარაზის 25 ნამუშევარი გამოიფინა.

– ავთო სულ ამბობდა, ნახატის ბოლო მაინც ლურსმანია, მაგრამ არ უნდა ავიწყდებოდეს მხატვარს, რომ იმ ნახატზე თავისი ცხოვრების ნაწილიც კიდიაო. დიდი მადლობა ორგანიზატორებს, რომ მოახერხეს და მის შესახებ ასეთი სრულყოფილი ალბომი გამოსცეს, – განაცხადა პრეზენტაციის დასასრულს მხატვრის მეუღლემ.

ავთო ვარაზის უნიკალური ტილოები გამოფენის დახურვის შემდეგ კვლავ კერძო კოლექციონერებს დაუბრუნდებათ.

# სააპელაციო სასამართლომ მეუღლის მკვლელობაში მსჯავრდებულის მიმართ განაჩენი უცვლელი დატოვა

თბილისის სააპელაციო სასამართლომ მეუღლის მკვლელობაში მსჯავრდებულ 15 წლის ელენე ჯავახიას მიმართ განაჩენი ძალაში დატოვა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის სააპელაციო სასამართლოდან აცნობეს, ჯავახიას მიმართ განაჩენში სრულად იყო გაითვალისწინებული მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, დანაშაულის სიმძიმე და ხასიათი, რის საფუძველზეც მსჯავრდებულს 15-წლიანი თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა. კანონის მოთხოვნის თანახმად, არასრულწლოვნს სასჯელი 1/3-ით შეუმცირდა და საბოლოოდ მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

საქმის მასალების თანახმად 15 წლის ჯავახია არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა კ. ვ.-სთან, რომელიც მან „სკაიპის“ მეშვეობით გაიცნო. ერთთვიანი თანაცხოვრების პერიოდში, მათ შორის კონფლიქტი რამდენჯერმე წარმოიშვა.

2010 წლის 29 სექტემბერს, მორიგი კამათის დროს, ჯავახიას განმარტებით, მეუღლეზე განაწყენდა და მშობლების სახლში დაბრუნება გადაწყვიტა. მეუღლემ სახლიდან წასვლის უფლება არ მისცა, რის გამოც, კამათი სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაში გადაიზარდა.

ჩხუბის დროს ჯავახიამ შურისძიების მიზნით, განზრახ მოკვლის მიზნით, მეუღლეს სამზარეულოს დანით გულმკერდის მარცხენა არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. მიყენებული ჭრილობისგან კ. ვ. ადგილზე გარდაიცვალა.

პირველი ინსტანციის სასამართლოში ჯავახიამ წარ-

გაგრძელება მე-11 გვერდზე



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ჰიმნების, საგალობლების კრებული ქართულ მწერლობაში; 2. სამეგრელოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 3. ტყვიის შემცველი მინერალი; 4. უმაღლესი თანამდებობის პირთა სათათბირო ძველ საბერძნეთში; 7. აჭარული ცეკვა; 8. ესპანელ დიქტატორ ფრანკოს მეტსახელი; 12. მეფის მამულების, მეურნეობის მეთვალყურე ძველად საქართველოში; 14. გზაგამტარი ხიდი; 16. ახალი წლის სახელწოდება გურიაში; 17. ქალაქი სამეგრელოში; 19. აზიაში გავრცელებული კუზიანი ხარი; 20. დიდი ზომის მრავალსიმიანი მუსიკალური ინსტრუმენტი.

**თარაზულად:** 5. კომუნიკაციის საშუალებათა, გაზეთის, ტელევიზიის, რადიოს საერთო სახელწოდება; 7. ამერიკული სამხედრო ატომური წყალქვეშა ნავების სერია; 9. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 10. წყალგარეული ღვინო; 11. ყინულზე სასრიალო აფრიანი მოწყობილობა; 13. ირანის ოფიციალური სახელმწიფო ენა; 15. ბეტონიტური თიხის საბადო გურიაში; 18. მეცხოველეობის ფერმა აშშ-ში; 21. აეროპორტი ბრიუსელში; 22. მონასტერი ყვარლის რაიონში; 23. ხელით სასროლი ფეთქეებადი ჭურვი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა.*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. იპოთეკა; 2. ანდორა; 3. ალტრუიზმი; 4. კიმონო; 5. ვესტერნი; 7. ნუგა; 11. რეალობა; 13. თურქეთი; 15. მესხი; 16. სამბო; 18. ელისო; 19. დრამა.

**თარაზულად:** 6. პლანკი; 8. ინსულტი; 9. კომპასი; 10. ესკადრა; 12. ჩაქვი; 14. დოკერი; 17. მარმელადი; 20. დიორამა; 21. სხალთა; 22. სტამპა; 23. ჯოკოვიჩი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კოდექსი; 2. ყეყეჩი; 3. ბარახასი; 4. დინამიტი; 7. კომენტარი; 8. პრობაცია; 12. გრინვიჩი; 14. წირქოლი; 16. კომიქსი; 17. კრამიტი; 19. ოქმი; 20. ბარი.

**თარაზულად:** 5. კომუნიკე; 6. ამაშუკელი; 9. სქოლიო; 10. ჩანახი; 11. კომლი; 13. გროგი; 15. ნიკორა; 18. კოალა; 21. კონსპექტი; 22. ქუთაისი; 23. ჰიპნოსი.

# დაუახლოვდა თუ არა საქართველო ნატოს

ნათია ხურცილავა

თბილისში იმყოფება ნატოს გენერალური მდივნის ანდრეს ფოგ რასმუსენის წარმომადგენელი ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიის საკითხებში.

ჯეიმს აპატურაიმ უნდა გაარკვიოს, რა მდგომარეობაა საქართველოში ნატოსთან დაახლოების კუთხით.

აპატურაი ამბობს, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები მნიშვნელოვანი გამოცდა იქნება.

მომავალი არჩევნები მნიშვნელოვანი გამოცდა იქნება დემოკრატიული რეფორმების პროგრესისთვის, – განაცხადა აპატურაიმ.

გუშინ საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენცია გაიმართა. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო ჯეიმს აპატურაიმ.

თავდაცვის სამინისტროს ორგანიზებით გამართულ კონფერენციაზე ქართველი და საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებმა გლობალური უსაფრთხოების სფეროში არსებული ახალი გამოწვევები და საქართველოს თავდაცვის სფეროს რეფორმები და მიღწეული პროგრესი განიხილეს.

კონფერენციის მონაწილეები ორი დღის განმავლობაში ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავენ, როგორებიც არის ნატო ლისაბონის სამიტიდან ჩიკაგოს სამიტამდე, საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პერსპექტივები, შავი ზღვის რეგიონი ევროატლანტიკური უსაფრთხოების სისტემაში, უსაფრთხოების სფეროს გამოწვევები,

თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე რეფორმები, დემოკრატიის კონტროლი,

აისაფის მისიის ირგვლივ არსებული გამოწვევები და სამომავლო გეგმები.

ნატო არ ცვლის საქართველოსთან თანამშრომლობის პრინციპებს. ამის შესახებ „რედისონში“ საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე გამართული კონფერენციის მსვლელობისას განუცხადა ჟურნალისტებს ჯეიმს აპატურაიმ.

კონფერენცია დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. თუმცა, კონფერენციის მონაწილეებმა პრესისთვის კომენტარები გააკეთეს.

ჯეიმს აპატურაიმ ქართულ მედიას განუცხადა, რომ საქართველოსთან თანამშრომლობის პრინციპები და ბუქარესტის სამიტზე მოკავშირეების მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ იცვლება.

–ამ კონფერენციაზე ჩვენ განვიხილეთ როგორც



თავდაცვის, ისე უსაფრთხოების საკითხები. ასევე მე გავმართავ შეხვედრებს ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ვიზიტის მოსამზადებლად. საბჭოს წევრები მოუთმენლად ელიან ამ შეხვედრას, – განაცხადა ჯეიმს აპატურაიმ.

მისივე განცხადებით, საბჭოს ვიზიტისას მსჯელობა იქნება ნატო-საქართველოს თანამშრომლობის კონკრეტულ საკითხებზე.

– მათ შორის, ვიმსჯელებთ ავღანეთის სამშვიდობო მისიაში საქართველოს მონაწილეობაზე და ჩვენ გვინდა, მადლობა გადავუხადოთ საქართველოს ამ როლისთვის. თუმცა, გვსურს, უფრო მეტს მივაღწიოთ ერთად, – განაცხადა აპატურაიმ.

აპატურაის ვიზიტი საქართველოში ერთგვარი მოსამზადებელია ნატოს გენერალური მდივნის ვიზიტისა, რომელიც ნოემბერში შედგება.

თქვენს ქვეყანაში ნატოს გენერალური მდივნის ვიზიტი იგეგმება. ამ ვიზიტით ნატოს სურს, კიდევ ერთხელ დაადასტუროს, რომ ჩვენ ერთგული ვრჩებით ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებისა, ვინაიდან საქართველომ დაამტკიცა, რომ ის ალიანსის მყარი და სანდო პარტნიორია, – განაცხადა აპატურაიმ.

ჯეიმს აპატურაი ამბობს, რომ ნატოში საქართველოს ინტეგრაციის გზა რეფორმებზე იქნება დაფუძნებული.

– ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველა ასპექტზე ვმუშაობთ, მათ შორის – სასამართლო და საარჩევნო რეფორმაზეც. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია სამხედრო რეფორმა, – განაცხადა აპატურაიმ.

აპატურაის განცხადებით, საქართველოში უკვე აშკარაა გარკვეული პროგრესი, თუმცა, ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

– საქართველოს ყველა მექანიზმი აქვს ნატოში გასაწევრიანებლად, – ამბობს გიორგი ბარამიძე.

მისივე თქმით, საჭიროა, საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტები ნატოს სტანდარტებს მიუახლოვდეს.

– ჩვენ ვიცით, რომ საქართველო რამდენიმე წელიწადში მზად იქნება ნატოში გასაწევრიანებლად. ჩვენ საშუალება მოგვეცა, რომ იმ რეფორმებზე, რომლებიც თავდაცვის სფეროში ტარდება, ვიმსჯელოთ ჩვენს პარტნიორებთან, როგორც მთავრობის, ისე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან, ექსპერტებთან. ჩვენ ისეთი საკითხები განვიხილეთ, რომლებიც მნიშვნელოვანია საქართველოს ნატოში გაწევრიანების კუთხით, – განაცხადა გიორგი ბარამიძემ.

თავდაცვის მინისტრის მოადგილე აცხადებს, რომ კონფერენციაზე საქართველოს მიღწევები განიხილეს, რომლებიც მას სამხედრო სფეროში აქვს.

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩ ჯონ ბასს ნაადრევად მიაჩნია საუბარი იმაზე, დადგება თუ არა 2012 წლის ნატოს მინისტერიალზე საქართველოსთვის მაპის მინიჭების საკითხი.

– ბატონი ჯეიმს აპატურაისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ჩიკაგოს მინისტერიალამდე 6 თვით ადრე განვსაზღვრავდი, რა საკითხები შეიძლება დადგეს მინისტერიალზე და რა – არა. საქართველო მნიშვნელოვანი პარტნიორია, მას ავრანეტის ოპერაციაში, რომელიც საერთაშორისო უსაფრთხოებასა და გამოწვევების დაძლევას ემსახურება, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს, – განაცხადა ჯონ ბასმა ჯეიმს აპატურაის მიერ გაკეთებული განცხადების კომენტირებისას.

ბასის შეფასებით, საქართველო პროგრესის გზას ადგას და თავდაცვის სფეროში მნიშვნელოვან რეფორმებს ახორციელებს.

– ჩვენ ვცდილობთ, შევაფასოთ, რა დამატებითი ნაბიჯები იქნება გადასადგმელი, რომ პროგრესი კიდევ უფრო გაიზარდოს, – განაცხადა ამერიკის ელჩმა საქართველოში.

როგორც ცნობილია, სამი დღის წინ ევროპულმა და რუსულმა სააგენტოებმა ნატოს წარმომადგენლის ჯეიმს აპატურაის კომენტარი გაავრცელეს, რომლის მიხედვითაც, საქართველო, სავარაუდოდ, ჩართული არ იქნება ნატოს წევრობის სამოქმედო გეგმაში (მაპი), რომელიც 2012 წლისთვის ჩიკაგოში დაგეგმილ სამიტზე უნდა გამოცხადდეს.

# საქართველოში სტუდენტთა 62% მთლიანად თავისი ხარჯებით სწავლობს

„ინტერპრესნიუსი“ ილიას უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორს, ჰარვარდის უნივერსიტეტის მაგისტრს განათლების კვლევასა და პოლიტიკაში, ნათია ანდღულაძეს ესაუბრა.



ნათია ანდღულაძე

***– ეკონომიკური პრობლემების გამო სულ მეტ აქტუალობას იძენს უმაღლესი განთლების სიძვირის თემა. არავინ დავობს, რომ კვალიფიციური უმაღლესი განათლების მიღება ფასიანი უნდა იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ იმ სტუდენტების მშობლებს, რომლებმაც უმაღლეს სასწავლებებებში ჩააბარეს, საფასურის გადახდა უჭირთ. თქვენ როგორ შეაფასებდით ამ თვალსაზრისით საგანმანათლებლო ბაზარზე არსებულ ვითარებას და უმაღლესი განათლების მისაღებად საქართველოში არსებულ ფასებს?***

– საქართველოში სწავლის მაღალი გადასახადი და სუსტი ფინანსური დახმარების სისტემაა. სახელმწიფო, ზოგადად, ძალიან ცოტას ხარჯავს განათლებაზე, როგორც მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში (2.7%), ისე – სახელმწიფო ბიუჯეტთან მიმართებაში (8%). განსაკუთრებით ცოტას ხარჯავს უმაღლეს განათლებაზე (მშპ-ს 0.11%). ნაწილობრივ, ამის კომპენსირება სტუდენტების მიერ გადახდილი ფულით ხდება. ეს აისახება, როგორც უმაღლესი განათლების ხარისხზე, ისე – უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობაზე.

საქართველოში სწავლის გადასახადი სახელმწიფო უნივერსიტეტებში 1500 ლარსა და 2250 ლარს შორის მერყეობს და გამოდის, რომ ერთ სულზე, მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში სწავლის საფასური 32%-48%-ია. შედარებისთვის, აშშ-ში ეს მაჩვენებელია 13.5%; ავსტრალიაში – 10.6%, იაპონიაში – 13.6%, ესპანეთში – 3.1%, კორეაში – 10.4%, ავსტრიაში და ბელგიაში – 1.6%. შეერთებულ შტატებში, ჰოლანდიაში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში სწავლის საფასური სახელმწიფო უნივერსიტეტებში და კოლეჯებში 2000-6500 დოლარია, მაგრამ ამ ქვეყნებში საშუალოდ სტუდენტების 80% სახელმწიფოსგან დახმარებას იღებს, გრანტების და იაფი სტუდენტური სესხების სახით. ბელგიაში, ავსტრიაში, ესპანეთში, შვეიცარიაში სწავლის საფასური 1500 დოლარზე ნაკლებია, მაგრამ ასევე დაბალია სახელმწიფო დახმარების მიმღები სტუდენტების რიცხვიც.

მთლიანობაში, საქართველოში უმაღლესი განათლების სექტორის დაფინანსებაში სტუდენტების გადასახადის წილი ძალიან მაღალია, შესაბამისად, დაბალია სახელწმიფოს წილი. სექტორის ბიუჯეტის 52% სტუდენტების გადასახადებზე მოდის. შედარებისთვის, ეს მაჩვენებელი აშშ-ში 41%-ის, ესტონეთში – 19%, ისრაელში – 34%. ევროპის ქვეყნებში კერძო წყაროებიდან უმაღლესი განათლების სექტორში შესული ფული სექტორის მთლიანი ბიუჯეტის 21%, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარებისთვის ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნებისთვის (აშშ, კანადა, იაპონია, ევროპის ქვეყნები, ჩილე, თურქეთი, მექსიკა, კორეა) კი – 31%. შეადგენს.

***– საკმაოდ დაბალია საჭიროებისთვის, ე.წ. სოციალური გრანტებისა და სრული დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხების ოდენობა. რა უნდა გაკეთდეს, რომ დაფინანსების გრანტული სისტემა კიდევ უფრო მოქნილი გახდეს და უმაღლესი განათლების მიღება მიუწვდომელი არ იყოს ამ კატეგორიის სტუდენტებისთვის?***

– სახელმწიფო დახმარების სისტემა ძალიან სუსტია. როგორც აღვნიშნე, ქვეყნებში, სადაც მაღალი გადასახადებია, მაღალია სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სტუდენტების წილიც. საქართველოში მაღალი გადასახადებია, მაგრამ მცირეა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სტუდენტების წილი. სტუდენტების 10% იღებს სრულ გრანტს, 5% – 70%-იან გრანტს, 8% – 50%-იან და 13% – 30%-იან გრანტს. ანუ, გრანტის მიმღებთა უდიდესი ნაწილი იღებს მხოლოდ ნაწილობრივ გრანტს და 62% მთლიანად თავისი ხარჯებით სწავლობს. მაგრამ ამ გრანტების 95% პროცენტი მერიტოკრატიულია. ანუ იღებს ის, ვისაც მაღალი ქულები აქვს.

სასწავლო გრანტებისთვის გამოყოფილ თანხაში სახელმწიფო სოციალურ გრანტებზე, ანუ, სხვადასხვა სოციალური ნიშნით – მრავალშვილიან, სოციალურად შეჭირვებული, ეთნიკური უმცირესობებისთვის – გაცემული გრანტების წილი, კანონით, არ შეიძლება აღემატებოდეს გრანტებისთვის გამოყოფილი თანხის 10%-ს. 2009 წელს გაცემული დაახლოებით 8850 გრანტიდან მხოლოდ 470 იყო სოციალური. ანუ, ვიღებთ სისტემას, რომელიც არ წყალობს ღარიბ ბავშვებს, რადგან თუ ღარიბი ხარ, არ გაქვს რეპეტიტორების ფული ან გაქვს უფრო ნაკლები, ვიდრე – უფრო შეძლებულს. შანსი იმისა, რომ კონკურენციას გაუწევ აპლიკანტს, რომელიც ბოლო წლის განმავლობაში მაინც რამდენიმე საგანში ემზადებოდა, მინიმალურია.

ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის უნდა გავაძლიეროთ სოციალური ნიშნით სტუდენტების დაფინანსება. თუ სექტორის დაფინანსების გაზრდას ვერ ვახერხებთ, უარი უნდა ვთქვათ იმ სტუდენტების სწავლის დაფინანსებაზე, რომლებსაც სახელმწიფოს დახმარების გარეშეც შეუძლიათ სწავლის საფასურის გადახდა და გრანტების თანხა სოციალური ნიშნით გავანაწილოთ. საშუალო ფენისთვის სტუდენტური სესხების სისტემის განვითარების ხელშეწყობა შეიძლება. ანუ, თუ სტუდენტი ვერ მიიღებს გრანტს, რადგან ის ღარიბი არ არის, შეუძლია გამოიტანოს იაფი სესხი და სესხის დაფარვა სწავლის დასრულების შემდეგ დაიწყოს. მაგრამ სტუდენტური სესხების სისტემის აგებას და შენახვას დამატებითი ინვესტირება სჭირდება სახელმწიფოს მხრიდან. ჯერჯერობით სტუდენტური სესხები მხოლოდ რამდენიმე კერძო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის არის ხელმისაწვდომი.

***– თუ გაქვთ მონაცემები, რამდენად მოთხოვნადები არიან უმაღლესდამთავრებული სპეციალისტები დასაქმების ბაზარზე?***

– დასაქმების მონაცემების მიღებულ განათლებასთან დაკავშირება, არსებული მონაცემებით რთულია. ეს სირთულე დაკავშირებულია დასაქმების ოფიციალურ დეფინიციასთან, რომელიც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიას იყენებს. ამ დეფინიციის მიხედვით, დასაქმებულად ითვლება ადამიანი, თუ კვირაში ერთი საათის განმავლობაში ანაზღაურებით მუშაობდა. მაგრამ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისგან განსხვავებით, საქართველოში დასაქმებულად ითვლება ანაზღაურების გარეშე მომუშავე ადამიანიც და ამ დეფინიციას ეყრდნობა არსებული მონაცემები. არსებობს არაოფიციალური კვლევებიც. ამ კვლევების მიხედვით, დასაქმების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალია უმაღლესი განათლების მქონეთა შორის.

***– იმის გათვალისწინებით, რომ ყოველწლიურად საქართველოში უმაღლესი სკოლის მიღმა 20 ათასი სკოლადამთავრებული რჩება, სახელობო სასწავლებლების ოდენობა კატასტროფულად დაბალია, როგორი პოლიტიკის გატარებას ურჩევდით ამ სფეროში ხელისუფლებას?***

– სახელობო განათლების სექტორის სიმძლავრე დაბალია. წელს განათლების ბიუჯეტში სახელობო ცენტრებზე 6 მილიონია გამოყოფილი. არადა, ეს განათლების ყველაზე ძვირადღირებული სფეროა. ამიტომ, პირველ რიგში, მეტი დაფინანსება სჭირდება. გარდა ამისა, ამ სექტორში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამსაქმებლის მონაწილეობა, მაგრამ ჯერ სექტორის მართვაში მხოლოდ სახელმწიფო მონაწილეობს.

ინტერპრესნიუსი

## სააპელაციო სასამართლომ მეუღლის მკვლელობაში მსჯავრდებულის მიმართ განაჩენი უცვლელი დატოვა

დასაწყისი მე-10 გვერდზე

დგენილ ბრალდებაში თავი არ ცნო დამნაშავედ და ღია სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ მეუღლე მასზე მუდმივად ეჭვიანობდა და მეგობრებთან მობილური ტელეფონით კონტაქტს უკრძალავდა. ქმრის აკძალვის მიუხედავად, ჯავახია მაინც ახერხებდა თავის ძველ მეგობართან სატელეფონო კონტაქტს. ეს უკანასკნელი კი, მეუღლესთან გაყრას და მასთან თანაცხოვრებას ჰპირდებოდა.

საქალაქო და სააპელაციო ინსტანციებში ბრალდებული გამართლებას იმ მოტივით ითხოვდა, რომ მეუღლის მკვლელობა საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად, აუცილებელი მოგერიების მიზნით ჩაიდინა.

სასამართლომ არ გაიზიარა განსასჯელის ჩვენება, ვინაიდან გამოკვლეული მტკიცებულებებით, კერძოდ: მოწმეთა ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, სასამართლო-სამედიცინო და ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნებით და საქმეში არსებული სხვა მასალათა ერთობლიობით, უტყუარად დადასტურდა ჯავახიას ბრალეული ქმედება.

ინტერპრესნიუსი

## TV პროგრამა

ხუთშაბათი 28 ოქტომბერი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.45** თოქ-შოუ "არენა" **14.45** დოკ. ფილმი "დაკარგული ხელოვნების მაძიებელი" **15.00** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **17.00** ავტოპილოტი **18.00** ან. ფილმი "გოძილა" **19.05** სერ. **"მისამართი უცნობია"** **21.00** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **22.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.00** კავკასიუს ლაივი **00.00** წითელი ზონა **01.00** მხ.ფ. **"24 ქალაქი"** (სუბტ.) **03.00** მოამბე **03.20** სერ. **"ზიანი"** (**12**) **04.20** მხ. ფილმი **"ქარიშხლიანი მაღლობები"** (ჯ. ბინოში)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00, 01.00** სერ. **"ელიტარული უბანი"** **20.00** მხ. ფილმი **"ზამთრის ბუნიობა"** **02.00** მხ. ფილმი **"ამერიკელი ჟიგოლო"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"როსალინდა"** **11.00** სერ. **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** პროფილი (გან.) **18.45** სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** **19.45** სერ. **"სახლი მეზობლად"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.00** კომედი შოუ ბესტი **00.00** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.40** სერ. **"ქალის სიტყვა"** **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** სერ. **"ყავა და ლუდი"** **16.00** სერ. **"შურისძიების საფასური"** მე-5ს. **17.40** სერ. **"ევა ლუნა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **23.00** თოქ-შოუ **00.20** ღამის შოუ (გან.) **01.20** ფლეიბოი იმედზე **02.15** მხ. ფილმი **"ბუჩ კესიდი და სანდენს კიდი"** (პ. ნიუმენი) (სუბტ.) **04.00** მხ. ფ. **"კომანდო"** (**15**) (ა. შვარცენეგერი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"მარინა"**

**08.00** მხ. ფილმი **10.00** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **11.00** ანიმაცია "ტომი და ჯერი" **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"დაკარგული ქვეყანა 3"** **13.00** მხ. ფილმი **15.30** მხ. ფილმი **17.10** სერ. **"ტყუპები"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"მისი სულის მუსიკა"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"სოფია, ცოტა მადრიდი"** **10.00** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. **"ამანდა ო"** **13.00** სამედიცინო პროექტი **13.30, 19.35** სერ. **"ადვოკატი"** **15.15** სერ. **"ექიმი ქმორი"** **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** განთიადი **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** დოკ. ფილმი "გია ყანჩელი" **11.35** აქტუალური თემა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"გზა მშვიდობისა ჯაყო"** **13.25** კონცერტი – ტრიო "თბილისი" **15.05** განთიადის სტუმარი **15.25** მხ. ფილმი **"თხუნელა"** **17.00** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.30** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია **18.05** პატრიარქის ქადაგება **18.20** ტელეზღაპარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ. ფილმი **"ფილადელფიის სიკვდილი"** **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.20** ჩვენი ფონდი **22.35** მოკ. ფილმი **"ცაბუნია"** **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "უჯარმის პატარა სახლი" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** კვირიაკე

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

**28 ოქტომბერი**

აშშ დოლარი — 1,6613

ევრო —2,2702

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208

რუსული რუბლი — 0,057

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 7–9, ღამით — 1–6

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 12–15, ღამით — 7–10

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 2–7, ღამით — -2–2

**ამინდის პროგნოზი 28 ოქტომბრისთვის**




# მხოლოდ „ახალი თაობის“ მკითხველებისთვის

## „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“

## პირველი 10 ტომი — 1 წიგნი 5 ლარად

**28 ოქტომბერს გაზეთთან ერთად გაიყიდება მე-2 ტომი — ფრანკო**

**29 ოქტომბერს — მე-3 ტომი — ჩერჩილი, წიგნი 1**

**1 ნოემბერს — მე-4 ტომი —ჩერჩილი, წიგნი 2**

**3 ნოემბერს — მე-5 ტომი —სერვანტესი**

**5 ნოემბერს — მე-6 ტომი —რიშელიე**

**11 ნოემბერს — მე-7 ტომი —მარკესი**

**15 ნოემბერს — მე-8 ტომი —ნაპოლეონი**

**17 ნოემბერს — მე-9 ტომი —ვაჟა-ფშაველა**

**19 ნოემბერს — მე-10 ტომი —კეისრები**



## ასტროპროგნოზი 28 ოქტომბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა.

**ვერძი** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **კურო** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **ტყუპები** — გზიდან ფულს მიიღებთ, გახარებული ხართ. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** — ახალი პროექტი გაამართლებს, იაქტიურეთ. **ქალწული** — ეს დღე მშვიდად გაატარეთ, ნუ გადაიღლებით. **სასწორი** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარი აზრი შეინარჩუნეთ. **ღრიანკალი** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, ბედი გწყალობთ. **მშვილდოსანი** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **თხის რქა** — თქვენი პარტნიორი თქვენზე ზრუნავს, მის მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ. **მერწყული** — საღამოს რომანტიკული შეხვედრა და საუბარი გელით. **თევზები** — წარმატებული დღეა, ყველაფერი კარგად იქნება.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ჩეჩნეთის ისტორიული სახელწოდება; 2. პოპულარული ტყე-პერკი პარიზში; 3. ადამიანის გონებრივი განვითარების დონე; 4. ფულის გამოშვება; 5. დიდი ფრინველი, ქართული ხალხური ზღაპრების პერსონაჟი; 7. ჭადრაკის ფიგურა; 11. ვირის ნაშიერი, ჩოჩორი; 13. ივნისის თვის ქართული სახელწოდება; 15. ძვირფასთვლებიანი ქალის სამკაული; 16. წიაღისეულით მდიდარი, ზღვის თხელწყლიანი ნაპირი; 18. მანძილი იდაყვიდან შუა თითის წვერამდე; 19. კოვბოების შეჯიბრი.

**თარაზულად**: 6. ქართველი მწერალი, დრამატურგი, სცენარისტი, კინორეჟისორი; 8. ბრიტანული ნამცხვარი; 9. ამაღლებული ადგილი ეკლესიაში, მგალობელთა გუნდისთვის; 10. მოხსენების, სტატიის მოკლე შინაარსი; 12. გერმანელი ფილოსოფოსი; 14. ებრაელთა სასულიერო პირი; 17. ყველაზე წყალუხვი ტბა საქართველოში; 20. ზღვისპირა კურორტი გულრიფშის რაიონში; 21. მოღრუბლული დილა; 22. შეუზღუდავი, თავის ნებაზე მოქმედება, მოძრაობა; 23. ქართველი მათემატიკოსი, მეტალურგი, ტანმოვარჯიშე.

*შეადგინა: თ.გოგინაშვილმა*



## არვიდას საბონისი ლიტვის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტია

არვიდას საბონისი ლიტვის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტია. ლიტვური კალათბურთის ლეგენდა არჩევნებში ერთსულოვნად იქნა არჩეული. საბონისმა ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე ვლადას გარასტასი შეცვალა, რომელიც ლიტვურ კალათბურთს ბოლო 8 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა.

— ეს ჩემთვის დიდი პატივია. ბედნიერი ვარ, რომ საშუალება მეძლევა, ლიტვური კალათბურთის განვითარებაში ჩემი წვლილი შევიტანო, — ეს იყო საბონისის პირველი სიტყვები არჩევნებში გამარჯვების შემდეგ.

არვიდას საბონისს უკვე დიდი წვლილი აქვს შეტანილი არა მარტო ლიტვური, არამედ ზოგადად მსოფლიო კალათბურთის განვითარებაში. ცნობილი ლიტველი ცენტრალური თავდამსხმელი შეყვანილია ნბა-სა და ფიბა-ს დიდების დარბაზებში. საბონისს საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში 1988 წელს მოგებული აქვს ოლიმპიური ოქრო. „საბასი“ მხცოვან ასაკში უმაღლეს დონეზე თამაშობდა მსოფლიოს უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში (ნბა-ში) და დღემდე ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრალურ თავდამსხმელად ითვლება მთელ მსოფლიოში.



არვიდას საბონისი ლიტვაში წლეულს ჩატარებული ევროპის ჩემპიონატის ელჩი გახლდათ და ტურნირის ორგანიზებაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ლიტველმა ვეტერანმა კალათბურთელმა ახლახან გულის შეტევა გადაიტანა, თუმცა, როგორც ლიტვური მედია აღნიშნავს, საბონისს არც საავადმყოფოში ყოფნისას შეუწყვეტია საარჩევნო პროგრამაზე მუშაობა. **მ. ჟ.**

## საქართველოს პატრიარქმა პლასიდო დომინგოს ოქროს ჯოხი აჩუქა


ეკა ირემაშვილი




სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ცხუმ აფხაზეთის მიტროპოლიტმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მსოფლიოში სახელგანთქმულ ტენორს პლასიდო დომინგოს ოქროს სადირიჟორო ჯოხი უსახსოვრა.

ეს საჩუქარი მისმა უწმინდესობამ პლასიდო დომინგოს მსოფლიო საოპერო ხელოვნებაში მოღვაწეობის 40 წლის იუბილესთან დაკავშირებით გაუგზავნა. ოქროს სადირიჟორო ჯოხი ცნობილ ტენორს, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით სამების ტაძრის მოძღვარმა მამა ილია ნასიძემ ლონდონის სამეფო თეატრის „კოვენტ გარდენში“ გენერალურ რეპეტიციაზე პირადად გადასცა, სადაც მსოფლიოში ცნობილი ტენორის საიუბილეო საღამო ჩატარდა.

პლასიდო დომინგოს საიუბილეო საღამოში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოში ცნობილმა ქართველმა ბანმა და იტალიელი ტენორის მეგობარმა პაატა ბურჭულაძემ. მან ტენორს ფონდ „იავნანას“ მიერ დაწესებული ჯილდო ქველმოქმედებისთვის „ოქროს რაში“ – უკვე გადასცა.

## ავთო ვარაზის ნამუშევრები წიგნად აიკინძა


ეკა ირემაშვილი


თვითნასწავლი მხატვრის ავთო ვარაზის უნიკალური ნამუშევრები პროექტის „ქართული მხატვრობა“ ეგიდით წიგნად აიკინძა და ქართული სახვითი ხელოვნების მოყვარული საზოგადოებისთვის ამიერიდან უკვე ხელმისაწვდომია. „თიბი-სი გალერეაში“ ავთო ვარაზის 30-მდე უნიკალური ტილო გამოიფინა, რომლებიც დღეისთვის კერძო კოლექციებშია დაცული.



ქართველი ფერმწერის ნამუშევრების გამოფენასთან ერთად შედგა პროექტის „ქართული მხატვრობა“ პრეზენტაცია, რომელიც ხელოვნების მოყვარულებს საშუალე-


**გაგრძელება მე-10 გვერდზე**